შიდაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (9.817)
10 – 17 მარტი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გენდერი და პოლიტიკა ქართულად

გვ.2

გვ.3

პრემიერი რუსეთის ხელისუფლებას მიმართავს

ჭადრაკის პოპულარიზაციისთვის

გვ.8

„დედა-უნივერსიტეტის“ 100 წლისთავისადმი

გვ.4-5

საარსებო შემწეობის მოლოდინში...

გვ.3

ცხოვრებაში არაფერია შეუძლებელი

გვ.6

გვ.2

კონფერენცია მოსწავლე – ახალგაზრდობის სახლში

„...ოდესმე სახლს აუცილებლად ვიყიდით“

გვ.6

C M Y K

გენდერი და პოლიტიკა ქართულად

გაზაფხულის მოსვლა და ქალთა დღესასწაულები კიდევ უფრო მეტად დაგვაფიქრებს ხოლმე როგორც ქალის როლზე საზოგადოებაში, ასევე იმ პრობლემებზეც, რომელთა წინაშეც დგანან ჩვენი ქვეყნის ქალბატონები. ქართულ სუფრაზე ნათქვამი ხმამაღალი სადღეგრძელოების მიღმა მდედრობითი სქესის ბევრი წარმომადგენელი კვლავ უუფლებოა და ხშირად ხდება ძალადობის მსხვერპლი. ჩვენთან გენდერული თანასწორობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კვლავ ლიტონ სიტყვებად რჩება.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და ქალთა საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს პროგრამას: ,,კახეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ქალი პოლიტიკოსებისა და გენდერზე პასუხისმგებელი პირების ქსელი პროფესიული და ლიდერული უნარ-ჩვევების გაძლიერებისათვის“. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის პროცესს. პროგრამის მიზანია, გაზარდოს გადაწყვეტილებების მიღების და პოლიტიკის ფორმირების პროცესში ქალების ინფორმირებული ჩართულობა.

5-6-7 მარტს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამართულ ტრენინგზე, ,,გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები“, კახეთის რეგიონის თვითმმართველობებიდან მიწვეული იყვნენ მერიის და სკრებულოს პასუხისმგებელი პირები გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ტრენერებმა ელენე რუსეცკაიამ და მამუკა გაჩეჩილაძემ 10 სესიაზე, ინტერაქტიულ რეჟიმში, სავარჯიშოების და ვიდეომასალების გამოყენებით, განიხილეს შემდეგი თემები: 1. გენდერული თანასწორობის ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებების მიმოხილვა; 2. გენდერული თანასწორობა-ძირითადი ცნებები და განსაზღვრებები,გენდერის ტერმინოლოგიის და ძირითადი ცნებების გაგება; 3. განსხვავებული სოციალიზაცია და გენდერული სტერეოტიპები; 4. გენდერული დისკრიმინაცია; 5. გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები; 6. გენდერული პოლიტიკები და მეინსტრიმინგი; 7. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები საქართველოში; 8. გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობაში; 9. გენდერული ძალადობა; 10. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და სპეციალური დროებითი ზომები.

რამდენიმე კითხვით მივმართეთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირს ანა ბენაშვილს:

-რას გულისხმობს გენდერული თანასწორობა?

-გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ

მატერიალურ კეთილდღეობას, თანაბარ შესაძლებლობებს, ისეთ ღირებულებებს, რომლებიც ემყარება ადამიანთა თანასწორობის რწმენას, თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებასა და თანაბარ კონტროლს რესურსებსა და მოგებაზე. თანასწორობა არ ნიშნავს, რომ ქალები და მამაკაცები ერთნაირები უნდა გახდნენ, ეს ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ადამიანი ქალად დაიბადა თუ მამაკაცად.

ჩვენს საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპები ფართოდაა გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები აქვთ ადამიანებს ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა და სოციალურ ფუნქციებზე. რაც უფრო ტრადიციულია საზოგადოება, მით უფრო ძლიერია გენდერული სტერეოტიპების როლი. ქალისა და მამაკაცის თვისებები და მათ მიერ შესრულებული როლები მკაცრად არის განსაზღვრული და ერთიმეორის საპირისპიროდ მიიჩნევა. სამწუხაროა, რომ ჩვენს საზოგადოებაში მრავლადაა გენდერული ძალადობის შემთხვევები.

-რა იგულისხმება გენდერულ ძალადობაში?

- გენდერული ძალადობა არის განზოგადებული ტერმინი, უთანასწორობის შედეგად ადამიანებისთვის მიყენებული ნებისმიერი ფორმა ზიანისა, რომელიც მიაყენეს ადამიანს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ და ემყარება განსხვავებას გენდერულ როლებში. მსოფლიოში გავრცელებული გენდერული ძალადობის შემთხვევების გავრცელებული ფაქტებიდან გამომდინარე, თითქმის ყოველთვის, განსაკუთრებით ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალებზე და გოგონებზე ტერმინი ,,გენდერული ძალადობა“, რადგან ხშირად მას აიგივებენ ტერმინთან ,,ქალთა მიმართ ძალადობა“. ერთერთი მიზეზი, რის გამოც ,,გენდერული ძალადობა“ ხშირად ითვლება უფრო მისაღებ ტერმინად ქალთა მიმართ ძალადობის აღწერისას, არის ქალთა დაქვემდებარებულობის სტატუსის და მათზე ძალადობის მაღალი რისკის წარმოჩენა. ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური, სოციო-კულტურული და სხვა.

- რატომ გახდა დღეს ასე აქტუალური გენდერის თემის წამოწევა მმართველობის ყველა რგოლისთვის?

- მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას, ჩვენი ქვეყანის მხრიდან მრავალი საერთაშორისო ვალდებულების ანუ კონვენციის შესრულების აუცილებლობა მოჰყვა. ქალთა კუთხით, ძირითადად, სამი კონვენცია განიხილება. ერთერთია CEDAW- გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ; სტამბულის კონვენცია - ,,ქალთა მიმართ ძალადობა“ და ,,ოჯახში ძალადობა“, ასევე, 13/25 - ,,ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ მიღებული ,,დობილი რეზოლუციები“; მნიშვნელოვანია ვენის 2012 წლის დეკლარაცია, რომელიც ფემიციდს განსაზღვრავს, როგორც ქალთა ან გოგონათა მკვლელობას მათი სქესის გამო. არის კიდევ პეკინის დეკლარაცია. ამ დეკლარაციების შესაბამისობაშია გენდერული თანასწორობის ადგილობრივი ვალდებულებები: საქართველოს კონსტიტუცია(1995); საქართველოს კანონი ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“(2010); საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ(2014); საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ(2006); საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს მთავრობის დადგენილება N437 - ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ.

როგორც ვხედავთ, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას, მმართველობის ყველა საფეხურზე გასატარებელი აქვს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ამ ვალდებულებების შესასრულებლად. სწორედ ამ მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველობებში გამოიყო გენდერზე პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც ადგილობრივ დონეზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ერთად, უნდა უზრუნველყონ საჭიროებებზე მორგებული სამუშაო გეგმების შემუშავება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გასატარებლად და პრევენციული ღონისძიებების, სხვა კონკრეტული საქმიანობების განხორციელება გენდერული ძალადობის ფაქტების შესამცირებლად.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

კონფერენცია მოსწავლე – ახალგაზრდობის სახლში

6 და 7 მარტი საკმაოდ დატვირთული იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. 6 მარტს ჩატარდა 72-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის მეორე ტური, სადაც განვიხილეთ მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც უნდა გაიგზავნოს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ზემო ქედის, ქ.დედოფლისწყაროს №1, არხილოსკალოს, არბოშიკის, ოზაანის, სამრეკლოს და ქ.დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები. მათი ნაშრომები განიხილა კონფერენციის კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:ხორნაბუჯის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი ნინო დევრისაშვილი, №2 საჯარო სკოლის პედაგოგები-ნუნუკა ჯინაშვილი და ლალი ინაშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები:მზია ბაშარული, მაყვალა მაძღარაშვილი, ნინო სიფრაშვილი და ლიკა ნატროშვილი, რისთვისაც დიდი მადლობა მათ.

მოსწავლეებმა შეძლეს თავიანთი ნაშრომების დაცვა საკმაოდ საინტერესოდ. მინდა, წარმატებები ვუსურვო ყველა მათგანს , იმედი მაქვს, სასახლეში ფინალურ ტურზეც გამარჯვებას მოიპოვებენ.

7 მარტს კი ჩატარდა გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. გადავწყვიტეთ ღონისძიება ყოფილიყო საზეიმო და ხალისიანი. ამისთვის, ბავშვებთან ერთად, მშობლებმა და პედაგოგებმაც მიიღეს მონაწილეობა სპორტულ და შემეცნებით ნომრებში. დედები და შვილები კი ტოლს არ უდებდნენ და სიამოვნებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ღონისძიება საკმაოდ საინტერესო და ხმაურიანი იყო.

თამარ ლაპიაშვილი
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

კვლევა: ქალზე ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და სამცხე – ჯავახეთშია

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN Women) ქალთა მიმართ ძალადობის ახალი ეროვნული კვლევის შედეგები წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ქალზე ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და სამცხე-ჯავახეთშია. ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

კვლევის თანახმად, თბილისში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის 4%, ფიზიკური - 8%; ემოციური -20; ნებისმიერ სახის - 20% ფიქსირდება.

სამცხე-ჯავახეთში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის - 1%; ფიზიკური - 7%; ემოციური -21% ნებისმიერი სახის - 21% ფიქსირდება.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალზე ძალადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გურიასა და აჭარაშია.

„ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017“ გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ერთობლივად ჩაატარა.

კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით. საქართველოს მასშტაბით შერჩეული საველე პერსონალის რაოდენობამ შეადგინა 181 ადამიანი, მათ შორის 22 რეგიონული ზედამხედველი და 159 ინტერვიუერი. საველე სამუშაოები დაიწყო 2017 წლის 14 აგვისტოს და დამთავრდა 2017 წლის 29 სექტემბერს. მთლიანობაში, კითხვარი შეავსო 15-დან 64 წლის ასაკის 6006-მა ქალმა და 1601-მა კაცმა.

გამოკითხული ქალების 22%-ს და კაცების 31%-ს მიაჩნია, რომ ქალის ცემა გარკვეულ გარემოებებში გამართლებულია.

გიორგი კვირიკაშვილი რუსეთის ხელისუფლებას მიმართავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ცხინვალში, არჩილ ტატუნაშვილის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების საკითხზე მორიგ განცხადებას ავრცელებს.

მთავრობის მეთაური მიმართავს რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას, "რათა დღევანდელი დღისა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, გადავდგათ ერთობლივი ნაბიჯები აღნიშნული რთული ვითარების დასაძლევად".

"მიმდინარე წლის აგვისტოში 2008 წლის ომიდან ათი წელი შესრულდება. ამ დრამატულმა მოვლენამ ღრმა კვალი დატოვა ქართველი ხალხის ცნობიერებასა და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობებში.

გაწყვეტილია დიპლომატიური კავშირები. მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ ფაქტობრივად ჩიხში მოაქცია ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დამყარების პერსპექტივა.

ამჟამად ჩვენს წინაშე არის არჩევანი - აღნიშნულ თარიღს შევხვდეთ ურთიერთბრალდებებითა და მწვავე განცხადებებით, რომელთა ნაკლებობა ამ წლების განმავლობაში ნამდვილად არ იყო, ან გადავდგათ გონივრული, თუნდაც მცირე ნაბიჯები ამ მოჯადოებული წრიდან ჩვენი ურთიერთობების გამოსაყვანად.

ჩვენ ადრეც განვაცხადეთ და კვლავ ვადასტურებთ, რომ დაინტერესებულნი ვართ მივაღწიოთ რეალურ პროგრესს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პროცესში, რისთვისაც დავადასტურე ჩემი პირადი ჩართვის მზაობა. მზად ვართ ასევე, პირდაპირი დიალოგისათვის აფხაზებთან და ოსებთან და მისასალმებელი იქნებოდა ამ თვალსაზრისით რუსეთის მხარის რეალურად კონსტრუქციული მიდგომა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა გონივრული ნაბიჯების გადადგმაც.

სამწუხაროდ, დღეს რთული რეალობის წინაშე ვდგავართ. ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აღვადგინეთ, მაგრამ ტრაგიკული მოვლენების ჯაჭვი დღესაც გრძელდება. ეს ძირს უთხრის ქართულ-რუსულ ურთიერთობათა მოწესრიგების პერსპექტივას. ამის ბოლო ტრაგიკული მაგალითია ორი კვირის წინ ცხინვალში გაურკვეველ ვითარებაში ჩვენი მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის სიკვდილი, რომლის ცხედრის გადმოცემაც კი, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების, კათოლიკოს-პატრიარქისა და საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთი მცდელობისა, აქამდე ვერ მოხერხდა ოჯახისათვის.

მივმართავ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას, რათა დღევანდელი დღისა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, გადავდგათ ერთობლივი ნაბიჯები აღნიშნული რთული ვითარების დასაძლევად", - ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

საარსებო შემწეობის მოლოდინში...

ქალაქ დედოფლისწყაროში, ერეკლე მეორის ქუჩაზე მცხოვრები ლამარა გიორგაძე სოციალური მომსახურების სააგენტოსგან დახმარების აღდგენას, ორი წელია, უშედეგოდ ითხოვს. 81 წლის მარტოხელა მოხუცს გადაადგილება უჭირს, ამიტომ დროის ძირითადი ნაწილის გატარება საწოლში უწევს. ლამარა გიორგაძეს ცხოვრება ძველ, ალიზის ავარიულ სახლში უწევს, რომლის კედლები დაბზარულია, ოთახები კი ძალიან ვიწროა. მისი საყოფაცხოვრებო პირობები არ გაუმჯობესებულა, თუმცა, ოჯახის სარეიტინგო ქულები მაინც გაიზარდა, რამაც ლამარა ბებო საარსებო შემწეობის გარეშე დატოვა.

მოხუცის ჯანმრთელობის მდგომარეობა დახმარების შეწყვეტის შემდეგ კიდევ უფრო გაუარესდა. როგორც თავად ამბობს, საარსებო შემწეობის მოხსნაზე ინერვიულა, რის შემდეგაც ინსულტი განუვითარდა და მოძრაობა შეეზღუდა.

ლამარა გიორგაძე: – „4 წელი ვიღებდი დახმარებას და 2015 წელს მომეხსნა და იმავე წელს დავავადდი, მას შემდეგ სულ ვწევარ, გადაადგილება მიჭირს. მანამდე კარგად ვლაპარაკობდი, ახლა საუბარიც არ შემიძლია. მითხრეს, შენ არ გეკუთვნის დახმარება და მაღალი ქულები გაქვსო. ამაზე ვინერვიულე და უფრო ცუდად გავხდი. ვეღარ ვიჩივლე, რადგან სიარული აღარ შემეძლო და არც იმის თავი მქონდა, სადმე მივსულიყავი და გამესაჩივრებინა. ვუთხარი, მაღალი ქულები რატომ მომიკიდა, არაფერი შეცვლილა და ხომ იცით, როგორ ვცხოვრობ -მეთქი. ორი ვიწრო ოთახი მაქვს და სულ ესაა. მაინც არაფერი ეშველა და მომიხსნეს, მას შემდეგ ვკითხულობ, მაგრამ უშედეგოდ. სიარული რომ შემეძლოს, ყველგან მივიდოდი და მოვითხოვდი, მაგრამ ჩაწოლილმა რა გავაკეთო. გასულ წლებში კიდევ მივმართე განცხადებით, ხელახლა გადამამოწმეს, მაგრამ მაინც მაღალი ქულები მოდიოდა და აღარ დამენიშნა. მარტოხელა ქალი, პენსიის ამარა დამტოვეს, მეტი არაფერი არ გამაჩნია, არანაირი შემოსავალი არ მაქვს. ბავშვები თუ ამომიტანენ საჭმელს, მათ იმედზე ვარ. მე აღარც მაღაზიაში გასვლა შემიძლია, არც პურის ყიდვა, ასე უმოძრაოდ ვარ. ძალიან გთხოვთ, აღმიდგეს ეს 60 ლარი, არ მინდა ისე მოვკვდე, რომ დახმარება არ დამენიშნოს"...

მისი ერთადერთი შემოსავალი პენსიაა, რომლის დიდი ნაწილი მედიკამენტების შეძენას ხმარდება, საკვების თანხა კი ხშირად აღარ რჩება. მარტოხელა ქალის ერთადერთ იმედად მეზობლები რჩებიან. ლამარა ბებოს პროდუქტებით მომარაგებაც მათზეა დამოკიდებული.

„გაუგებარია, რა პრინციპით ხელმძღვანელობს სოციალური სააგენტო. ისეთ ოჯახებს უწყდება დახმარება, რომელთაც არავითარი სხვა შემოსავალი და იმედი არ გააჩნიათ. ქულების დათვლის სისტემის ხშირად ცვლამ შედეგი ვერ გამოიღო. ის, რომ უსამართლოდ უწყდებათ დახმარება, ეს ქალბატონი ამის საუკეთესო მაგალითია. ცალი მხარე პარალიზებული აქვს, მეტყველებაც გაურთულდა, ვერ გადაადგილდება და იმის თავიც არ აქვს, საკითხის გასარკვევად სოციალურ სააგენტოში იაროს," – აღნიშნავენ მეზობლები.

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ ოჯახებს, რომელთაც სოციალურმა სააგენტომ დახმარება მოუხსნა, მუნიციპალური სოციალური პაკეტებით სარგებლობა შეუძლიათ. ამისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში მიმდინარე წელს 650 000 ლარია გამოყოფილი. მერიამ ზღვარი გაზარდა, რის შედეგადაც პაკეტით სარგებლობის საშუალება მაღალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებსაც მიეცა. სოციალურ პაკეტში კი 10 სხვადასხვა სერვისი შედის, მათ შორისაა კომუნალური გადასახადების, ბინის ქირის და სათბობი შეშის დაფინანსება.

„ვეღარ ვიჩივლე, სიარული აღარ შემეძლო. მეტყველებაც მიჭირს, ნერვიულობაზე უარესი დამემართა"

„ბოლო ოთხი წელია, რაც დედოფლისწყაროს გამგებლის პოსტი დავიკავე, მას შემდეგ რამდენჯერმე მოხდა სოციალური პაკეტის გაუმჯობესება და გათვალისწინებული თანხების გაზრდა. თითქმის ყოველწლიურად განხორციელდა დამატებითი მომსახურების შეთავაზება, თუ არსებული პაკეტის პირობების გაუმჯობესება. მაგალითად, ჩვენ უკვე დავიწყეთ ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტების დაფინანსება, მკურნალობის თანადაფინანსების ნაწილში. მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის გაიცემა ერთჯერადი დაფინანსება. გავაუმჯობესეთ სათნოების სახლში არსებულ ბენეფიციართა მდგომარეობა. გაუმჯობესდა საკვების ხარისხი და ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი დღიური თანხა გავზარდეთ. აღმოჩნდა, რომ კახეთის რეგიონში უფასო კვებაში დღიურად ყველაზე მეტ თანხას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი გამოყოფს. მოვხსენით ყველანაირი შეზღუდვა 6 წლამდე ასაკის ბავშვების სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაში. გავზარდეთ ონკოლოგიურ პაციენტთა თუ სხვადასხვა მიმართულებებით თანადაფინანსება. ჩემი გამგებლობის პერიოდში ამოქმედდა ასევე კომუნალური გადასახადების ყოველთვიურად ანაზღაურების პროგრამა და სათბობი შეშის ერთჯერადი დახმარება. 2018 წელს, მას შემდეგ, რაც ბუნებრივ აირსა და დენზე გადასახადი გაიზარდა, ვცდილობთ, ცვლილება შევიტანოთ და ჩვენც გავზარდოთ ამ კუთხით წინასწარ დაგეგმილი თანხა. გარდა ამისა, ჩვენ სხვადასხვა ტიპის დახმარებებს გავცემთ. მრავალმხრივი სოციალური მომსახურება გვაქვს ადგილობრივ ბიუჯეტში, ასე რომ, ვცდილობთ, მაქსიმალურად იყოს მორგებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე. ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ ის გამოწვევები, რაც ყოველდღიურად არსებობს, ჩვენი დახმარებით და შესაბამისი პაკეტებით შევამსუბუქოთ და გვერდში დგომა ვაგრძნობინოთ მოსახლეობას. ამ განვლილი პერიოდის განმავლობაში 100 000-დან 150 000-მდე გავზარდეთ იმ ოჯახების სარეიტინგო ქულების ზღვარი, რომლებიც ადგილობრივი დახმარებებით სარგებლობენ. თუ აქამდე 100 000 ქულამდე ოჯახებს ვეხმარებოდით, ახლა გადავწყვიტეთ, რომ არეალი გაგვეზარდა და შედარებით მაღალი ქულების მქონე ოჯახებსაც შევეხიდოთ. ბავშვებსა და ონკოლოგიურ ავადმყოფებზე კი მთლიანად მოვხსენით სარეიტინგო ქულების მოთხოვნის აუცილებლობა. ისევე, როგორც გასულ წლებში, წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა და დაიხვეწა სოციალური პაკეტი, ასევე წელსაც მოსალოდნელია, რომ კიდევ შეიცვალოს და გაუმჯობესდეს, შესაბამისად, გათვალისწინებული ჯამური თანხაც კიდევ გაიზარდოს. აუცილებლად შეიცვლება უკეთესობისკენ, რადგან როგორც კი მოსახლეობის მხრიდან რაიმე მოთხოვნა არსებობს, აუცილებლად ვითვალისწინებთ. ჩვენი მიზანია, მოთხოვნების შერბილებით, თუ სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ მოახერხოს ამ სიკეთით სარგებლობა," – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ ოფისში, სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტავენ, რომ აგვისტოს თვეში ამოიწურება ბოლო შემოწმების შემდეგ დაწესებული ერთწლიანი ვადა, ასე რომ ქალბატონს შეუძლია სააგენტოს განცხადებით მიმართოს და მისი სარეიტინგო ქულის ხელახლა გადამოწმება მოითხოვოს.

ილია მარტყოფლიშვილი

„დედა-უნივერსიტეტის“ 100 წლისთავისადმი

მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს რაიონულმა განყოფილებამ კიდევ ერთი საინტერესო საღამო შესთავაზა მსმენელს. ღონისძიება ორგანიზაციის თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით და მერიის, საკრებულოს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა. მას ორგანიზაციის თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე და მდივანი ლია ჩოქური უძღვებოდნენ და დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მასპინძლობდა. ღონისძიება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავს მიეძღვნა, ამიტომაც მოწვეულ სტუმართა უმრავლესობას უნივერსიტეტის სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა დარგის კურსდამთავრებულები შეადგენდნენ.

წამყვანებმა უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ მოკლედ ისაუბრეს და პატივი მიაგეს მისი დამფუძნებლების – ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, კოტე აფხაზის, გიორგი გველესიანის, აკაკი შანიძის, გრიგოლ წერეთელის, ანდრია

რაზმაძის, გიორგი ახვლედიანის და იოსებ ყიფშიძის ხსოვნას. ითქვა, რომ 1918წელს, უნივერსიტეტის დაარსებისას მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი გაიხსნა, რომელზეც 369 სტუდენტი ირიცხებოდა და 7 პროფესორი, 5 პროფესორის მოადგილე, 2 მეცნიერ- ხელმძღვანელი და 3 ლექტორი მოღვაწეობდა. დღეს კი უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე 22000-მდე სტუდენტი ეუფლება უმაღლეს განათლებას, მათ შორის 600-მდე საერთაშორისო სტუდენტია. დღეისათვის აქ 705 აკადემიური პერსონაა დასაქმებული. “დედა-უნივერსიტეტი” მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2 პროცენტში მოხვდა. მას 50 ქვეყანაში 180-ზე მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი ჰყავს. 300 ათასზე მეტი კურსდამთავრებული საქართველოში, და არა მხოლოდ აქ, წარმატებით მოღვაწეობს. თითოეული თქვენთაგანი ამ დიდი არმიის შემადგენელი ნაწილია, – აღნიშნა ნანა ჭიჭინაძემ და სიტყვა უნივერსიტეტდამთავრებულებს დაუთმო: ისტორიკოსმა ნანული ნატროშვილმა, ეკონომისტებმა ნათელა ბიღიაშვილმა და ლუიზა ნასყიდაშვილმა, სოციოლოგმა და ჟურნალისტმა ინგა შოლაშვილმა, ფილოლოგმა ლალი-გურასპაულმა სტუდენტობის ლამაზი დღეები გაიხსენეს.

შემდეგ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, გაზეთ”შირაქის” რედაქტორმა ნაირა გორაშვილმა წარმოადგინა თემა: “ჟურნალისტი და მისი გმირები”. შესავალში ქალბატონმა ნაირამ მოკლედ მიმოიხილა ის 80-წლიანი გზა, რომელიც გაზეთმა “ახალმა შირაქმა”, შემდგომში “შირაქმა” გაიარა 1937 წლიდან დღემდე.

-ის გაგანია რეპრესიების დროს დაარსდა, თავის თავზე გადაიტანა და გაყვითლებულ ფურცლებზე შემოინახა მეორე მსოფლიო ომი, 1956 წლის მარტის სისხლისღვრა, 9 აპრილი, თბილისის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, 8 აგვისტოს ომები, გასული საუკუნის 90-ანი წლების სიბნელე, სიცივე, უფულობა, უგულობა, ზეწოლა, მაგრამ ყველაფერს გაუძლო, არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და დღემდე მოვიდა. ეს კი თითოეული იმ ადამიანის დამსახურებაა, ვინც წარსულში თუ ახლა ამ გაზეთის რდაქციაში თუ ყოფილ სტამბაში მუშაობდა და მუშაობს. ურთიერთმხარში დგომამ და საქმის ერთგულებამ მოიტანა ეს გაზეთი დღევანდელობამდე. მადლობა ყველას, ვინც კი ამ რთულ გზაზე შეხიდებია და დახმარების ხელი გაუწვდია რედაქციისათვის – რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს, მოქალაქეებს, ერთგულ მკითხველებს, – თქვა ქალბატონმა ნაირამ და თავის მოხსენებაში ისაუბრა იმ ადამიანებზე, ვინც 47-წლიანი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე მისთვის საინტერესო რესპოდენტი იყო.

– „ახლა მივუბრუნდეთ თემას, რომელიც ჩემი საუბრის ძირითადი ხაზია- „ჟურნალისტი და მისი გმირები“. იყო ასეთი ჟურნალისტური სტანდარტი: პიროვნების წარმოსაჩენად ვიყენებდით ჟანრს „ნარკვევი“, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში აქცევდა ავტორს, მერე თანდათან მას დაემატა ინტერვიუს და რეპორტაჟის ელემენტები და უფრო საინტერესო გახდა პერსონაჟი. პირველი ასეთი პერსონაჟი ჩემთვის გახლდათ გამარჯვების კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მწყემსი მარიამ გოგოჭური. სწორედ მასზე ნარკვევის დაწერის დროს გამოვიყენე პირველად პირველ პირში ამეტყველებული რესპოდენტი და სათაურიც ერთსიტყვიანი დავარქვი – „მარიამი“. ძალიან ვღელავდი, მეშინოდა რედაქტორის გოდერძი ტოკლიკიშვილის, რომელიც თავისი ბუნებით კონსერვატორი იყო და სიახლეები და „მეტიჩრობები“ არ უყვარდა. მოლოდინი გამიცრუვდა, დღესაც მახსოვს, ვიდრე წერილს დასაბეჭდად ჩაუშვებდა, დამიძახა და, რომ მეგონა, გამიბრაზდება-მეთქი, ისე შემაქო, დღემდე მახსოვს ის წუთები. ეს გასული საუკუნის 70-იანი წლები იყო. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, უამრავ ადამიანს შევხვედრივარ, უამრავი მაღალი თუ დაბალი რანგის რესპოდენტი მყოლია, ხშირად გამცრუებია კიდეც იმედი, ძალით ძლივს ამილაპარაკებია „ცნობადი“ პიროვნება, ხშირად კი სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩენილვარ საშუალო განათლების ადამიანს ისეთი ერუდიცია და ღრმა აზროვნება გამოუმჟღავნებია.ვეცდები,

მოკლე-მოკლედ შევეხო და გავიხსენო ის ჩემი გმირები, ვინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იტყვიან ხოლმე-„ხელი შიგნით იხრებაო“ და მეც შინაურებიდან დავიწყებ: „ორი ალალი კაცის ისტორია „ ასე ერქვა ნარკვევს, რომელიც გოდერძი ტოკლიკიშვილს და შოთა ბიკაშვილს მივუძღვენი მათი დაბადების 80 წლისთავზე- ორივე თებერვლის 20-ში იყვნენ დაბადებულნი. მთელმა რაიონმა იცის მათი ერუდიციის, პატიოსნების და საქმის ერთგულების შესახებ. ჩემი გულის ნაწილი ამოვაყოლე ჩემს უფროს მეგობარსა და საყვარელ ადამიანზე თინა ფავლენიშვილზე დაწერილ წერილს „ახლა კი ტკბილად დამეძინება“, როცა ის წნორის მოხუცთა თავშესაფარში დავაბინავე და გული დავიმშვიდე, რომ აღარც სციოდა, აღარც შიოდა და ადამიანების ნატრულს ხალხთან ყოფნის საშუალება მიეცა. მინდა გავიხსენო მარიამ ოჩიაური წერილით „მარიამ-დედა“-92 წლის ქალბატონი, შეუდარებელი მოლექსე და ხევსურული ხელსაქმის დიდი ოსტატი. შეუძლებელია, ჩემი კალმის მიღმა დარჩენილიყო ვანო სოსიკოს ძე ფიროსმანაშვილის, იგივე „წყალწყალას“ საინტერესო ცხოვრების გზა მოჯამაგირეობიდან რომ იწყებოდა და სოფლის თავკაცის 30-წლიანი მოღვაწეობით რომ მთავრდებოდა, კაცისა, რომელიც ლეგენდად დარჩა სოფელსაც და რაიონსაც. „გაუნათლებელი ბრძენი“, ასე შეიძლება ვუწოდოთ მას, რადგან კლასიკური უმაღლესი განათლება მას არ მიუღია, მაგრამ უფლისგან ბოძებული ორგანიზატორული ნიჭის და შრომისმოყვარეობის შედეგად მან დააარსა სოფელი გამარჯვება, ჩამოაყალიბა კოლმეურნეობა და სოფელი ააყვავა.ოთხი შვილი -ნათელა, შალვა, ლამარა და ანზორი და რვა შვილიშვილი აღზარდა ქვეყნის ერთგულ და მშრომელ ადამიანებად. არანაკლებ საინტერესო იყო ჩემი შეხვედრა და ინტერვიუ მის შვილთან, შალვა ფიროსმანაშვილთან, სასწაულ ადამიანთან, რომელმაც ქარიშხალივით იცხოვრა. არც ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის გარეშე შემდგარა ჩემი შემოქმედება და არც მისი ქალიშვილის, ასევე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ნინო პოპიაშვილის გარეშე.

ძალიან საინტერესო იყო, აგრეთვე, პროფესორ მარიკა სევერიანის ასულ გოგილაშვილთან შეხვედრა, ის ინგლისური ენის სპეციალისტია, რამდენიმე წიგნის ავტორი და წარმატებული ლექტორია.

ჩემი რესპოდენტები იყვნენ ადამიანები, რომლებიც დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან, მაგრამ მათთან შეხვედრა და მათ მიერ განვლილი ცხოვრების გზა უაღრესად შთამბეჭდავი იყო. როგორ დამავიწყდება შეხვედრა ერთ-ერთ გამორჩეულ და კოლორიტულ პიროვნებასთან ამირან ბიღიაშვილთან. დილის 11 საათიდან დაბინდებამდე ვისაუბრეთ და მაინც ვერ ამოვწურეთ სათქმელი. ეს იყო ადამიანი ენციკლოპედია, მრავალმხრივ განვითარებული კაცი, ერთდროულად რომანტიკოსიც და პრაგმატისტიც, მისი სიტყვა ნებისმიერ ღონისძიებაზე და ნებისმიერ საკითხზე მუდამ იყო გამორჩეული და განსხვავებული. ეს იყო კაცი პოეტი და კაცი მოქადრაკე და მრავალგზის რაიონის ჩემპიონი. მისი შრომითი ბიოგრაფია გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქციაში დაიწყო და მთელი ცხოვრება ჩვენთან გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდა. (ავტორის თხოვნით ბატონი ამირანის ქალიშვილმა ლელა ბიღიაშვილმა დამსწრეთ მისი რამოდენიმე ლექსი წაუკითხა.)

სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, როცა ერთმა უბრალო კაცმა, რომელსაც მთელი რაიონი „სვარჩიკ არსენას“ ეძახდა, ასეთი ფრაზა მითხრა:“სინდისი და პატიოსნება დემოკრატიის ფუნდამენტური საყრდენიაო“. ასეთ განმარტებას, ბოდიში და, ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე ვერ გეტყვით, სახელმწიფოს მშენებლობაზე რომ აქვს პრეტენზია.

გაგიკვირდებათ და ბატონმა არსენმა ზეპირად იცოდა საქართველოს ისტორია ფარნავაზიდან მოყოლებული, ბაგრატოვანთა გვარი, დავითი, პატარა კახი, თამარი და არამარტო საქართველოს, ირანის, აზიის ქვეყნების, ამერიკის და სხვა. კაცი, რომელმაც ზეპირად იცოდა თითქმის მთელი „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟა, ილია, ყაზბეგი, კითხულობდა თომას მანს, ბალზაკს, მსოფლიო კლასიკოსების მემუარებს და იყო წარმოუდგენლად ნაკითხი. „კითხვა ნიგნისა ჩემი ორგანული მოთხოვნილებაა და მიუხედავად იმისა, რომ თვალები მტკივა შედეგებისაგან, ვერ დავიძინებ ისეო“, – გვითხრა.

დიდი და საინტერესო გზა გაიარა რაიონის ერთ-ერთმა უხუცესმა კაცმა აბრამ ხარაშვილმა. 14 წლის იყო, ომი რომ დაიწყო, მამის ხარ-უღელი გადაიბარა, ხუთი წელი ოჯახი აინაბრა, 19 წლისამ სწავლა გააგრძელა. უბრალო პოლიციელობიდან დაიწყო და პოდპოლკოვნიკის ჩინით დაამთავრა რეგიონის პირველმა პოლიციელმა, სხვა მრავალ სამსახურშიც სცადა ბედი და წარმატებითაც. ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილია მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე. მისი ქალიშვილი, მიკრო-პედიატრი მარინა ხარაშვილი, ჩვენთვის, ყველასთვის საუკეთესო სპეციალისტი და ღირსეული პიროვნებაა.

„ჯანსაღი ოჯახი სახელმწიფოს ძლიერებაა“-ამ რუბრიკის ქვეშ არაერთი კარგი ოჯახის, კარგი წყვილის შესახებ ვისაუბრე: უნივერსიტეტელი თებრო აფციაური და მერაბ რობიტაშვილი ქორწინებიდან 50 წლისთავს დიდი შრომითი ბიოგრაფიით, ორი შვილით და 5 შვილიშვილით შეხვდნენ. ჯიმი ალუღიშვილი და ლალი ბოჭორიშვილიც ბედნიერად შეაბერდნენ ერთმანეთს, იაგო ყოჩიაშვილს და ლია ხუციშვილს სამაგალითო ოჯახი და საუკეთესოდ აღზრდილი და წარმატებული შვილები ჰყავთ; ჩვენი ინტერესის სფეროში მოხვდნენ „წარმატებული ოჯახის“ტიტულის მფლობელი გივი ღვინიაშვილი და რეგინა ჯანიაშვილი. წარმატებული მეწარმე ზეინალ მოდებაძე და მისი მეუღლე „საუკუნის ლეგენდის“ ტიტულის მფლობელი ქალბატონი თამარ მოძღვრიშვილი. მათი ოჯახი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით და დიდი პატრიოტიზმით – დიახ, სწორედაც რომ პატრიოტობაა ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული კატასტროფის ფონზე ორი შვილიდან 9 შვილიშვილი გყავდეს და ღირსეულად, ქრისტიანულად ზრდიდე მათ.

სიყვარულს გადაუხადეს ხარკი ნათელა პოპიაშვილმა და გურამ ბენაშვილმა. მათ სიყვარულზე დღესაც დადის ლეგენდები სოფელ გამარჯვებაში, რომელიც სკოლის მერხიდან დაიწყო და სიკვდილმაც კი ვერაფერი დააკლო. სიკვდილმა ვერ გაახუნა ლუიზა ნასყიდაშვილისა და თამაზ ბასილაშვილის სიყვარულიც. ისინი ორივე უნივერსიტეტელები იყვნენ, მათი სასიყვარულო პლიუსით შეერთებული ინიციალები დღესაც ატყვია მაღლივი კორპუსის გუმბათს, დერეფანში რომ დავდიოდი , სიყვარულის ალმური ამდიოდა და „ხრუნკის“ სუნი იდგაო, იტყოდა ხოლმე ქალბატონი ლუიზა. დღესაც ცოცხალია ეს სიყვარული, რომელიც შვილებზე ზრუნვაშია გადასული. დაუვიწყარია ლეილა ლაპიაშვილის და დავით ოზაშვილის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია, როცა ქორწილის დილას , გამთენიისას გაიყარა მათი სავალი გზები ამ ქეყანასა და იმ ქვეყანაში. დაუჯერებელი ერთგულებით იცხოვრა ქალბატონმა ლეილამ, ოზაშვილების სახელზე გაზარდა ერთადერთი ქალიშვილი ეკა და ახლა შვილიშვილების გაზრდას ემსახურება ოკეანის გაღმა. ანალოგიური ბედი ერგო ქვემო ქედის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გულნარა ტვილდიანს, რომელიც ოთხი თვის ფეხმძიმე დარჩა, მამის მოსახელე ფირუზ ბურდული და ორი ვაჟკაცი შვილიშვილი გაზარდა ცალუღლად. ჩვენი გაზეთის ფურცლებს შემორჩა ისეთი კოლორიტი პიროვნებების სიყვარულის და შრომითი საქმიანობის ამსახველი ნარკვევები, როგორებიც არიან, გამორჩეული პედაგოგი და დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე ცისანა მჭედლიშვილი და შოველი ქადაგიძე, მერი თარაშვილი და დათუნი სინჯიაშვილი, ვინ არ იცნობს და რომელი ოჯახის წევრთა სიცოცხლის გადასარჩენად არ უბრძოლია ჩვენს საყვარელ ექიმ-თერაპევტს გულნარა პოპიაშვილს, კარგ სპეციალისტს, კარგი ოჯახის, ნარმატებული შვილების და შვილიშვილების პატრონს. ეს ისტორიები და მათ მიერ განვლილი შრომითი გზა თუ სულიერი განცდები სამუდამოდ დარჩა ჩვენი გაზეთის გაყვითლებულ ფურცლებზე. ჩვენი გაზეთის ფურცლებმა შემოინახა ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დაწყებითი სწავლების პედაგოგის, „ღირსების ორდენის“ კავალერის ნელი შოშიაშვილის შრომითი გზა, ოჯახური ცხოვრება – 3 შვილი და ხუთი შვილიშვილი, ქვეყნისთვის გამოზრდილი ათეულობით თაობა 1978 წლიდან დღემდე. აქვეა ნარკვევი სოფელ ჭოეთის საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების პედაგოგის, ჟანა ბაბაიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზის შესახებ. ინკლუზიურ ჯგუფში მუშაობა გამორჩეულ ცოდნას, ნებისყოფას და შრომას მოითხოვს. სწორედ ეს შრომა მოითხოვს. სწორედ ეს შრომა დაუფასდა ქალბატონ ჟანას, როცა ის „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვეს.

(გაგრძელება გვ.5)

ჩემი უნივერსიტეტი

ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს დაარსების 100 წელი შეუსრულდა. იგი გაიხსნა 1918 წლის 8 თებერვალს, დავით ამაშენებლის ხსენების დღეს. ჩემს დროს, იგი ი.ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო.დროთა განმავლობაში ღირებულებები გადაფასდა, ახლა იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობისაა.

დაუვიწყარია ჩემთვის უნივერსიტეტის წლები. ვამბობ ჩემი, იმიტომ, რომ იგი გულთან ახლოსაა.

როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი აღნიშნავდა, "რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის".

ალბათ საინტერესოა, რატომ ავირჩიე უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს ბავშვობის ოცნება იყო მისი რეიტინგულობისა და პრესტიჟულობის გამო.

ზედა კლასებში სწავლისას, ოთახში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული მქონდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოტოსურათი, აქ უნდა ვისწავლო-მეთქი. მიუხედავად იმისა,რომ საშუალო სკოლის დამთავრების ოქროს მედალი და სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ლიმიტიც მქონდა, სწავლა მაინც უნივერსიტეტის მექანიკა- მათემატიკის ფაკულტეტზე გავაგრძელე და არც შევმცდარვარ. უნივერსიტეტმა ცოდნის მოცემის გარდა, ცხოვრების ლაბირინთებში გზის გაკვლევაც მასწავლა.

თანამედროვე ცხოვრება ბევრის მომცველი და მომთხოვნია. რომ დაინტერესო მსმენელი, არც ისე იოლია, ეს, მეცნიერების საფუძვლების ცოდნასთან ერთად, ზოგადი განათლების საკმაო ცოდნით მიიღწევა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, არ კმარა მხოლოდ ფეილორ-მაკლორენისა და ლიპიტალის წესის ცოდნა, ზოგადი განათლებაცაა საჭირო. უმაღლესი განათლების მქონეს კომპიუტერული ცოდნისა და ელექტრონულ ვერსიებში წვდომის უნარიც უნდა გქონდეს.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის 60-იან წლებში საქართველოში 19 უმაღლესი სასწავლებელო იყო და მათ შორის ერთი უნივერსიტეტი, რომელიც, მართლაც, მსმენელს უნივერსალურ ცოდნას აძლევდა, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტები საუკეთესო კადრებს უშვებდა. ამჟამად სოკოებივით მომრავლდა უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც, რატომღაც, უნივერსიტეტები დაერქვა. ეს, როგორც იტყვიან, უნივერსიტეტის სახელის გაუბრალოების კლასიკური მაგალითია. თუ კვლავ, ჯეჯელავა-კომბლეს შორსწასული „ხედვები" განხორციელდა, ალბათ, სამრეკლოს კოლეჯსაც უნივერსიტეტი დაერქმევა (ღმერთმა ნუ ქნას!)

ჩემი აზრით, მნიშვნელობა აქვს იმასაც, სტუდენტი სად მიიღებს ცოდნას, დედაქალაქში თუ პერიფერიაში (თბილისში თუ ახალციხეში). უნივერსიტეტი მეცნიერული მუშაობისთვის (თუ ეს შესაძლებელი იყო) ამზადებდა სტუდენტებს, პედაგოგიური ინსტიტუტები – პედაგოგებს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები – სოფლის მეურნეობის მუშაკებს და სხვა.

ნურავინ გამამტყუნებს, თუ ვიტყვი,რომ არ მჯერა, პერიფერიული უნივერსიტეტების სამეცნიერო კადრები ისეთივეა, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მეამაყება, რომ ჩემს დიპლომს ამშვენებს სახელგანთქმული აკადემიკოსის ნიკოლოზ მუსხელიშვილის ხელმოწერა.

წარსულში აქ მოღვაწეობდა და წლების მანძილზე უნივერსიტეტის რექტორი იყო ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, ასევე დიდი მეცნიერი და ასევე უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, შემდეგში ახლადგახსნილი ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ილია ვეკუა.

ჩემს დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ისეთი მეცნიერები, რომელთა მსგავსს მსოფლიო დონის ნებისმიერი უნივერსიტეტი ინატრებდა.თავს ნებას მივცემ და დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერ-აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, შემდეგში განათლების მინისტრი, აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე(ყოფილი რექტორი), თეორიულ მექანიკას კითხულობდა აკადემიკოსი ნიკოლოზ ვეკუა, ასტრონომიის ისტორიასა და ასტროფიზიკასსსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, ჩემი საყვარელი პროფესორი და აღმზრდელი, რომელმაც სამუშაოდ და სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში წამიყვანა- აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

პირველი ლექცია გვქონდა უმაღლეს ალგებრაში აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილთან.

მეამაყება, რომ ისეთი აღმზრდელი მყავდა, როგორიც იყო ღვაწლმოსილი მეცნიერი, მათემატიკური ანალიზის წიგნის ავტორი, პროფესორი არჩილ ხარაძე (ევგენი ხარაძის უფროსი ძმა).

სტუდენტებს გამორჩეულად გვიყვარდა პროფესორები: დავით კვესელავა, და-ძმა ნინო და ლეო მაღნარაძეები. ბატონ ლეოს უნივერსალური ცოდნა ჰქონდა, თუ რამ გასარკვევი გვქონდა, ფაკულტეტის დეკანი თევდორე ცხაკაია მიგვითითებდა: ლეო მაღნარაძეს მიმართეთ, ის გაგარკვევთო...

არ შეიძლება არ დავასახელო მათემატიკური ფიზიკის ლექტორი, პროფესორი პოლიკარპე ზერაგია, რომელიც შიშის ზარს სცემდა სტუდენტებს. ზოგად ფიზიკას დიდებულად გვასწავლიდა გალინა ვეფხვაძე. პირადად ჩემზე დიდი ამაგი აქვთ ასტრონომიის კათედრის პროფესორებს: მიშა კოლხიდაშვილსა და გივი კვირკველიას, რომელთაც წლების შემდეგ, სოფელში, ჩემს სახლში მომაკითხეს.

მოგონებებს რა დალევს...

შეიძლება იფიქროთ, სულ თავის ყოფილ ლექტორებზე საუბრობსო, მაგრამ უნივერსიტეტის ემბლემამ-შველი თავის ნუკრს ძუძუს აწოვებს, ალექსანდრე ყაზბეგის სიტყვები გამახსენა: „ვინც თავისას ვერ სთვისობს, მწოვებლის ძუძუ შხამად შეერგებაო".

ეგული ყოჩიაშვილი

„დედა-უნივერსიტეტის" 100 წლისთავისადმი

(მეოთხე გვერდიდან)

ძალიან საინტერესო იყო შეხვედრა ერთ-ერთ გამორჩეულ ქალბატონთან, ექიმთან და ხელოვანთან მარინა ღვინიაშვილთან. რამდენიმე წლის წინ მისი ნაქარგების გამოფენამ, „შოკში" ჩააგდო დედოფლისწყაროს საზოგადოება. წარმოუდგენელი ნებისყოფის, შრომის და თეთრად გათენებული ღამეების შედეგი იყო მუზეუმის ორ დარბაზში გამოფენილი 80 ნამუშევარი. მარინა ღვინიაშვილის და გენადი შიოლაშვილის ოჯახს ყველა იცნობს ჩვენს რაიონში, მათ ორი წარმატებული შვილი გაზარდეს. ჩვენ ამაყები ვართ, რომ პარლამენტში გვყავს ღირსეული წარმომადგენელი ირაკლი შიოლაშვილის სახით.

„გუშინდელი დღით კმაყოფილი ადამიანი მომავალს ვერ შექმნის"-გვითხრა სოფლის მეურნეობის ცნობილმა სპეციალისტმა, ფერმერმა ჯემალ კვანჭილაშვილმა, როცა ორი წლის წინ საიუბილეო 75 წლისთავისათვის მასზე ნარკვევი გავაკეთე. დიდი კმაყოფილება გამოინვია მკითხველში, გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ოჯახის ექიმის, შესანიშნავი მეუღლის, დედის და ბებიის ლილი ბეგაშვილის წერილმა. საქართველოს ბანკის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერი ალიკა გოგაშვილი არამხოლოდ შესანიშნავი ფინანსისტია, არამედ სამი ვაჟის მამა, კარგი მეუღლე და შვილი. ნინო ბოსტოღანაშვილის დიდი პედაგოგიური გზა და დამსახურება უფროსმა თაობამ კარგად იცის.

გამოცდილ და ღვაწლმოსილ ადამიანთა გვერდით უყურადღებოდ არც მომავალი თაობა დამიტოვებია. მოლოდინს გადააჭარბა №1 საჯარო სკოლის ოქროსმედალოსანი კურსდამთავრებულის თამარ მოდებაძის პერსპექტიულმა აზროვნებამ. ის მომავალი დიპლომატია და მიაჩნია, რომ დიპლომატს აქვს არამარტო პოლიტიკური დატვირთვა, არამედ მისიაც, მშვიდობიანი გზით შეაჩეროს ომები, აღმოფხვრას გაუგებრობები, დაარეგულიროს დაპირისპირებები, ქვეყანას დაეხმაროს ეკონომიკურ გაძლიერებაში. მარინა მეხრიშვილის და თამაზ მახარაშვილის უფროსი ქალიშვილი, ასევე ოქროსმედალოსანი გვანცა მახარაშვილი თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტია. მას კონკრეტული მიზანი აქვს – შეისწავლოს საგადასახადო სამართალი და იბრძოლოს ბიზნესში სამართლიანობისთვის. ნინო შანშიაშვილი მომავალი ბიოლოგია, ექიმი დედის და ბიოლოგი ბებიის გავლენით, გენეტიკის მკვლევარი უნდა რომ გამოვიდეს. კრეატიული აზროვნებით გამორჩეული, საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართული სოფიო ჯეთერიშვილი კი მომავალი ფილოლოგია. ის თელავის უნივერსიტეტში სწავლობს. „პატარა ქალბატონის განცდები შორეულ აფრიკაში „-ასე დავასათაურეთ ინტერვიუ ეკატერინე გვენეტაძესთან, რომელმაც სუდანში მშობლებთან – მხატვარ ლალი მერაბიშვილთან და მფრინავ დავით გვენეტაძესთან ერთად გაატარა არდადეგები, ბევრი საინტერესო რამ ნახა და შთაბეჭდილებები მკითხველსაც გაუზიარა.

საუბრის ბოლოსთვის შემოვინახე ნარკვევები ჩვენი ხელოვანების შესახებ. თავისი საინტერესო და ხანგრძლივი ცხოვრების შესახებ მოგვითხრო ჩვენი რაიონის უხუცესმა მსახიობმა ნინა ყოჩიაშვილმა, რომელსაც მსახიობობაზე არასოდეს უოცნებია, მაგრამ ნახევარი საუკუნე სცენაზე იდგა და სუფლიორიდან დაწყებული, მრავალი მთავარი გმირის განსახიერება მოუწია. აბა, ვინ არ იცნობს გია ალუღიშვილს, იგივე კორნაპეს, ცნობილ მხატვარს და ხის მხატვრული დამუშავების შესანიშნავ ოსტატს.მისი ნახელავი ჩვენს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიასაც ამშვენებს. ჩვენი უმრავლესობა დასწრებია და მოხიბლულა სამუსიკო სკოლის წარმატებული პედაგოგების თამილა ნადირაშვილის და მარიამ კიკილაშვილის ოსტატობით. ისინი ორივე ძალიან საინტერესო რესპოდენტები არიან. გამორჩეული ბედის კაცი იყო მხატვარი და შემოქმედი ხვთისო ბიკაშვილი, რომლის ამქვეყნიდან წასვლამაც გული დაგვწყვიტა. მის ცხოვრებასა, სიხარულსა და სიყვარულზე მოვუთხრობდი სწორედ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენის აღწერისას წერილში, რომელიც მკითხველის მეხსიერებაში ნამდვილად დარჩა. ახლა კი ჩემი ბოლო რესპოდენტი მინდა წარმოგიდგინოთ – ეს ჩვენი რაიონის ერთ-ერთი კოლორიტი და საინტერესო პიროვნება, კლარნეტისტი ავაქ ავაქიანია. მის შესახებ ნარკვევი ორი ნომრის წინ გამოქვეყნდა და დიდი რეზონანსი გამოიწვია. ათობით მკითხველმა დამირეკა და კმაყოფილება გამთქვა ამ კაცის წარმოჩენისათვის. 86 წლის ასაკში ის ახალგაზრდული შემართებით ფლობს საყვარელ ინსტრუმენტს და გატაცებით ასრულებს ქართულ მელოდიებს.

47 წლის მანძილზე ჩემს არქივში იმდენი ადამიანის ცხოვრება, ხასიათი, პიროვნული თვისება და პროფესიონალიზმი დაგროვდა, რომ ნახევარის წარმოდგენაც კი ვერ მოვახერხე. ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც ამ წერილში ვერ მოვიხსენე, რამაც მე უკმარისობის გრძნობა დამიტოვა, – თქვა ქალბატონმა ნაირამ.

ღონისძიების შემდეგი საკითხი წარმოადგინა ნანა ჭიჭინძემ, რომელიც მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს რაიონულ განყოფილებას ეხებოდა.

- ჩვენს ორგანიზაციას 10 წლისთავი შეუსრულდა. ამ ათი წლის მანძილზე ბევრი საინტერესო პროექტი და ღონისძიება განვახორციელეთ.დღეს უნივერსიტეტის 100 წლისთავს ვზეიმობთ, 5 წლის წინ კი ჩვენი ინიციატივით 95 წლისთავიც მასშტაბურად აღინიშნა და ამ ღონისძიების ამსახველი ფოტოები საიუბილეო 100 წლისთავზე უნივერსიტეტის ფოიეშია გამოფენილი. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ განაცხადა: ჩემთვის ცნობილია, რომ საზღვრისპირა რაიონში აქტიურად მუშაობს მწიგნობართა ასოციაცია, რომლის თანათავმჯდომარე არის ნანა ჭიჭინაძე, გამგეობის წევრები: ნუნუ ცაკაშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, რომლებიც ჩვენი კურსდამთავრებულები არიან. ისინი ეხმაურებიან ჩვენთან გამართულ ღონისძიებებს და ადგილზეც ატარებენ აქტივობებს ჩვენთან მიმართებაში. მაგალითად, უნივერსიტეტის 95 წლისთავი. იმედია, 100 წლისთავიც ღირსეულად აღინიშნება. მართლაც, მწიგნობართა ასოციაციის წლიურ გეგმას, რომელიც დამსწრეთ ქალბატონმა ნანამ გააცნო, ლეიტმოტივად ეს საიუბილეო თარიღი გასდევს. ლია ჩოქურმა დამსწრეთ გააცნო ამონარიდი გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული სტატიიდან "სიყვარულით მავალი ორგანიზაცია, რომელიც კვლავ წიგნისკენ გვაბრუნებს", სადაც სწორედ მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების საქმიანობაზე არის საუბარი. ღონისძიების დასასრულს აზრი გამოთქვეს და უნივერსიტეტის 100 წლისთავი მიულოცეს გივი ღვინიაშვილმა, მერაბ რობიტაშვილმა, ლეილა ფიროსმანაშვილმა, ნათელა პოპიაშვილმა, ნელი შოშიაშვილმა და სხვებმა.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო ცენტრ „სპექტრის" სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც "სპექტრის" დირექტორმა ნუნუ ცაკაშვილმა უმასპინძლა მათ. ქალბატონი ნუნუ უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულია, ის ფიზიკოსია და უნივერსიტეტში მუშაობის პატივიც ჰქონდა.

ეს ერთ-ერთ ლამაზ და შინაარსიან დღედ დარჩება დამსწრეთა მეხსიერებაში.

ნინო მოსულიშვილი

ცხოვრებაში არაფერია შეუძლებელი

სოფელ ხორნაბუჯში არსებულ ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორს, ქეთევან მჭედლიშვილს და სამხედრო კომისარიატის ყოფილ უფროსს, ამჟამად ბიზნესმენს, ბესო ბიბილაურს დედოფლისწყაროში ყველა იცნობს. მათი ლამაზი ოჯახი სიყვარულით შეიქმნა და ნიშანდობლივია, რომ ის ოჯახური ერთობლიობა და ჰარმონია, რამაც ისინი წლების წინ დააკავშირა, დღემდე გრძელდება. ბოლო წლებში ქალბატონმა ქეთევანმა არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა ახალგაზრდობის ცენტრი „თამარის ციხე-ხორნაბუჯი“ ჩამოაყალიბა და მუზეუმის ხელმძღვანელობასთან ერთად, აქტიურად, დიდი სიბეჯითით უძღვება მის საქმიანობას. სწორედ ეს სათნო ბუნების, აქტიური და წარმატებული ქალბატონია ჩვენი ნომრის სტუმარი.

-ქალბატონ, ქეთევან, რამდენი წლის წინ შეიქმნა თქვენი ოჯახი და სად გაიცანით ბატონი ბესიკი?

-სტუდენტობისას სამეგობრო წრეში გავიცანით ერთმანეთი. მერე გაჩნდა სიმპათიები მისგანაც და ჩემგანაც. ვხვდებოდით და მოგვწონდა ერთმანეთი. ჩვენმა გრძნობამ განვითარება ჰპოვა და ლამაზად ვატარებდით სტუდენტობის წლებსაც. როდესაც მე ვამთავრებდი, მას ერთი წელი კიდევ ჰქონდა დარჩენილი, საქმეში ჩართო თავისი ძმა, მოილაპარაკეს და მოტყუებით წამიყვანეს ისე, რომ იძულებული გავხდი, გადაწყვეტილება სწრაფად მიმეღო. ცხადია, ბევრი არც მიფიქრია და დავრჩი. მას შემდეგ 34 წელია, ერთად მოვდივართ და ერთმანეთის გვერდში ვართ. ჩვენ 15 აპრილს დავქორწინდით, მაშინ 15 აპრილი სიყვარულის დღედ არ იყო აღიარებული, ეს მერე შემოიღეს, თუმცა, არც ეს დღე და არც ვალენტინობა გამორჩეულ დღესასწაულებად არ მიმაჩნია, ვფიქრობ, რომ ყოველი დღე სიყვარულისაა. გავთხოვდი თუ არა, ქალის და დედის ფუნქცია შევითავსე, შეგვეძინა შვილები და მათი ყოველდღიურობა გახდა ჩემი ცხოვრების ამოსავალი წერტილი, წლები ვიცხოვრე იმ საფიქრალით, თუ რა მოსწონდათ ბავშვებს და რა არ მოსწონდათ. მართალია, ბესო, ძირითადად, სულ გარეთ იყო გასული და გარე საქმეებს მართავდა, მაგრამ ჩვენ ორივემ ერთად აღვზარდეთ შვილები.

-ოჯახი დიდი სკოლაა, ამბობენ, რომელშიც ნავსაყუდელსაც ვპოულობთ და გაჭირვებებსაც ვიტანთ. ყოფილა თუ არა, რთული გამოწვევები თქვენს წინაშე და როგორ გადალახეთ ისინი?

-მოგეხსენებათ, ისეთ ოჯახში ვიზრდებოდი, რომ არაფერი მაკლდა, ყველა სურვილს მისრულებდნენ, თუმცა, ოჯახის შექმნის შემდეგ, არ დავმალავ და ვიტყვი, რომ გაჭირვება ვიგემე, ჩემი მეუღლე წარმოშობით ვაზისუბნიდან გახლავთ, მისი მშობლიური სახლი კი გველოდა, მაგრამ იქ ცხოვრებას დედოფლისწყაროში დაბინავება ვარჩიეთ. გვქონია რთული და მძიმე პერიოდებიც, თუმცა ერთად დგომით და ერთმანეთის პატივისცემით ბევრი რამ ადვილად გადაგვატანია. კამათიც ბევრჯერ მოგვსვლია და ეს ნორმალურიცაა, მაგრამ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული არასოდეს დაგვიკარგავს. წლების შემდეგ ეს ყველაფერი იფილტრება და რჩება ნამდვილი, გამობრძმედილი, უკვე დაღვინებული, უფრო ძლიერი სიყვარული და ის წვრილმანი ნერვიულობები, რომელიც გადაგვიტანია, ახლა ძალიან სასაცილოდ გვეჩვენება. ახლა შვილიშვილების ცხოვრებით ვცხოვრობთ, სად გავასეირნოთ ისინი, რა შევუძინოთ, რა ვასიამოვნოთ და სხვა ყველაფერი ნაკლებმნიშვნელოვანია ჩვენთვის.

-თქვენ გაჭირვება ახსენეთ, საინტერესოა, როგორ უმკლავდებიან კარგი წყვილები ამ პრობლემას?

-დიახ, იყო ჩვენს ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც კვების პრობლემაც კი გვქონდა, თუმცა, ჩვენ პესიმიზმს არ მივცემივართ, პირიქით, ბავშვებთან გვიმსახიობია, რომ ყველაფერი კარგადაა და სახეზე მუდამ ღიმილი გვქონდა. მახსოვს, ერთხელ, ხორბლის კატლეტებიც კი გავაკეთე და ბავშვებს მოვაჩვენე, რომ ის ხორცის იყო. ალბათ, ბესო რომ არ მდგარიყო ჩემს გვერდით და მას არ გავემხნევებინე, ამ ყველაფერს მარტო ვერ შევძლებდი, ერთად დგომამ ბევრი რამ გადაგვატანინა.

-თქვენ და მუზეუმი, რას ნიშნავს ეს სამყარო თქვენთვის?

- 30 წელი მაკავშირებს ამ მუზეუმთან და ის უკვე იმდენად ჩემია, იმდენად საკუთარია, რომ მიჭირს ამ სამყაროს გარეშე ცხოვრება. ბევრს არ ვისაუბრებ, უბრალოდ ვიტყვი, რომ ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები მიდის ამ შენობაში და გახსნისას აუცილებლად მოგიწვევთ. სათქმელი მაშინ უფრო მეტი გვექნება.

- კარგი შვილების აღზრდა დიდი პატივია, თქვენს შვილებზე რას იტყვით?

-რა თქმა უნდა, დამიფასდა შვილებზე გაწეული ამაგი. სოფო 31 წლისაა, მას თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, სწავლა გააგრძელა მაგისტრის ხარისხზე ილიას უნივერსიტეტში, პარალელურად მუშაობს ტექნიკურ უნივერსიტეტში უფროს სპეციალისტად, ახლახანს დოქტორანტურაც დაუფინანსა სახელმწიფომ, ლექტორობაც შესთავაზეს თავისი განხრით, თუმცა, ჯერ ისევ სწავლას უთმობს დროს. ჩვენმა ვაჟმა ირაკლი ბიბილაურმა ილიას უნივესიტეტი დაამთავრა და კომპიუტერული დაპროგრამების სპეციალუისტია. ახლა ის 26 წლისაა, სწორედ მასზე ითქმის, თუ რამეს მოინდომებს, მიულწეველი არ არსებობსო. ნულიდან დაიწყო და ყველაფერს თავისით მიაღწია: – თავდაპირველად იყო სასტუმრო „ჰოლიდეინის“დაპროგრამების სპეციალისტი, რომ დაინახეს საუკეთესო მუშაკი იყო, დაანინაურეს და შესთავაზეს ჯერ საწყობის გამგეობა, შემედგ ახალი სასტუმროს უფროსობა. ამჟამად „ჰოლიდეინში“ შესყიდვების მენეჯერის პოზოციაზეა. ეს საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობაცაა და მიღწევაც, ჩვენ შვილების ბედს არ ვემდურით, თუმცა, ისინი ახალგაზრდები არიან და ყველაფერი წინ აქვთ.

-როგორ უნდა გაზარდო შვილები იმისთვის, რომ ისინი წარმატებულები გახდნენ?

-მინდა გითხრათ, რომ წარმატება ისე არ მოდის, ყველაფერს შრომა სჭირდება, თავდადებული შრომა და მხოლოდ ამის შემდეგ იღებ კარგ შედეგს. მე მუდმივად გულწრფელი ვიყავი შვილების მიმართ, მათ აზრს ვიზიარებდი, პატივს ვცემდი თითოეულ მათ ნააზრევს და ისინი ყოველთვის გრძნობდნენ ჩემგან ნაჩუქარ უდიდეს სიყვარულს. მეც ვუზიარებდი ჩემს აზრებს შვილებს, მერე მათ მოსაზრებასაც ვკითხულობდი და ვურჩევდი, თუ სამართლიანად მიაჩნდათ, გაეთვალისწინებინათ ჩემი დარიგება. მშობელმა ბავშვების განათლებაში, მათ გვერდით დგომაში ყველაფერი უნდა ჩადოს, მათ გართობაზე, მათ ბედნიერებაზე მუდმივად უნდა იზრუნოს დედამაც და მამამაც, შემდეგ ეს ყველაფერი თავის ასახვას ჰპოვებს.

-დღეს ბევრი ოჯახი ინგრევა, ამას კი, საფუძვლად, ხშირ შემთხვევაში, ეკონომიური პრობლემები უდევს, თქვენ რას ფიქრობთ ამაზე. ეს შეიძლება გახდეს ოჯახის ხელაღებით დანგრევის მიზეზი?

- თუ ორივე ადამიანს გააჩნია პასუხისმგებლობა, რომ გაჭირვებაშიც ერთმანეთის პატივისცემა არ დაკარგონ, პირიქით გაძლიერდნენ, ცხადია, ამ შემთხვევაში ყველაფერი ნორმალურადაა. ადამიანმა სიღარიბე თავში არ უნდა აიგდოს, უნდა ეცადოს, შეძლებისდაგვარად, მშვიდად გამოვიდეს გასაჭირიდან. მეც მქონდა ასეთი პერიოდი, ვიძენდი უბრალო ბამბაზიის და ჩითის ნაჭრებს და თავად ვუკერავდი სოფოს ისეთ ლამაზლამაზ კაბებს, რომ ბავშვი მუდმივად მოწესრიგებული დამყვდა ბაღშიც და სკოლაშიც. ერთი რამაა, ადამიანი ბედით არასოდეს არ უნდა იყოს უკმაყოფილო, თუ ეს განცდა აქვს, ის ბოლომდე გაჰყვება და დასტანჯავს.

-თქვენი ოჯახი 34 წელს ითვლის, რას ურჩევდით ახალგაზრდა წყვილებს, იმისთვის, რომ შეინარჩუნონ ქორწინება ბოლომდე?

-ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ ისევ: – შენით რომ აღწევ და იბრძვი, რომ მეტი შექმნა და გააკეთო, ეს ბევრად გემრიელი და ტკბილია. გაჭირვებამ უფრო ბევრი მასწავლა, ვიდრე ფუფფუნებით ცხოვრებამ. მე და ბესო პრობლემებს არასოდეს გავექეცით და ამით უფრო გავძლიერდით. შვილებიც დამოუკიდებლები არიან, რადგან ასეთი მოწოდებით გავზარდეთ: ბავშვს უნდა შეუწყო ხელი, მაგრამ ბოლომდე ცაში არ უნდა აცხოვრო, უნდა მისცე შესაძლებლობა, პრობლემებიც დაინახოს და არქონაც, რათა რეალისტურად იაზროვნოს და ცოტა საფიქრალი მასაც ჰქონდეს, თუ როგორ იცხოვროს მომავალში.

-მოკლედ დაახასიათეთ თქვენი მეორე ნახევარი, როგორია ბატონი ბესო და როგორი თვისებების ხართ თქვენ?

-ბესო მთის კაცია და სისხლში მაინც სიფიცხე აქვს გამჯდარი, მე უფრო მშვიდი ვარ, ამიტომ, როდესაც ის ბრაზობდა, მე ვუთმენდი, როცა მე ვიყავი უკმაყოფილო რამით და პრეტენზიებს ვაცხადებდი, ის მითმენდა, თუმცა, არცერთი არ გავქცევივართ ჩვენს წინაშე არსებულ გამოწვევებს. ურთიერთგაგება, ერთმანეთის პატივისცემა და ერთ ოჯახად ყოფნა ყოველთვის უმთავრესია, წვრილმანებს არ უნდა მიექცეს ყურადღება, საბოლოო ჯამში ჩვენ ხასიათში ერთმანეთს დავემსგავსეთ, ერთმანეთის თვისებები შევიძინეთ. ზოგადადაც, ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე მეუღლეები ერთმანეთს ემსგავსებიან ხოლმე.

-რა გასწავლათ ცხოვრებამ და როგორ შეფასებას აძლევთ ამ მომენტში განვლილ ცხოვრებას?

-იცით, ახლა რომ ვფიქრობ, ხშირად ჩემს გულს ვეუბნები, რომ, როგორც ქალმა ყველაფერი ვეცადე და გავაკეთე ოჯახის წინსვლისთვის, ვცდილობდი ყველაფერი მეკეთებინა, ყველაფერი გამომსვლოდა, დიასახლისობაც, გამომგონებლობაც,ხალისიანი ცხოვრებაც, კარგი შვილების აღზრდაც. მთავარია ვეცადე, არ დავიშურე ცდა და როგორც გამომივიდა,- გამომივიდა. ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ სიმშვიდე შეინარჩუნონ, ცხოვრებაში არაფერია შეუძლებელი, ყველაფერი დაძლევადი და გადალახვადია, ბოლომდე უსმინონ ერთმანეთს და არაფერს არ შეუშინდნენ. ეცადონ, მშვიდად მოჰკიდონ ყველა საქმეს ხელი, ერთმანეთის აზრი გაითვალისწინონ და პატივი სცენ ერთმანეთს, დანარჩენი ყველაფერი თავისით დალაგდება.

ლალი მეხრიშვილი

„...ოდესმე სახლს აუცილებლად ვიყიდით“

1965 წლიდან, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ბრძანებულებით, ქალთა საერთაშორისო დღე უქმე დღედ გამოცხადდა. 1975 წელი გაერომ ქალთა საერთაშორისო წლად, ხოლო 8 მარტი ოფიციალურად გამოაცხადა ქალთა დღესასწაულად.

საქართველოში დღესასწაული, სადაც ეს დღე სხვა საბჭოთა ქვეყნების მსგავსად აღინიშნებოდა, სსრკ-ის დაშლის შემდეგ გაუქმდა. თუმცა, 2002 წლის მარტში, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, პარლამენტის გადაწყვეტილებით, ქალთა საერთაშორისო დღემ – 8 მარტმა დღესასწაულის სტატუსი კვლავ მოიპოვა.

ამ გადაწყვეტილების ინიციატორი ნინო ბურჯანაძე გახდა, რომელიც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო.

8 მარტი დიდი ხანია დაიცალა საბჭოთა კონტექსტისგან, დღეს მას ქალთა უფლებების ადვოკატირებისთვის უფრო იყენებენ. დღესასწულს

პრაგმატული მნიშვნელობა აქვს, რომლითაც გენდერული თანასწორობის საკითხებმა წინ უნდა წამოიწიოს. ხშირად არის მსჯელობა სხვადასხვა წრეებში, უნდა არსებობდეს თუ არა ქალთა დღეებისადმი განკუთვნილი ორი უქმე, მაგრამ, თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას და მიმდინარე პოლიტიკურ -საზოგადოებრივ მოვლენებს, უმრავლესი ოჯახების რეპრესიული ხასიათიდან დაწყებული - მმართველ ორგანოებში ქალთა არაპროპორციული წარმომადგენლობით დამთავრებული, ისმის პასუხი-რატომაც არა!

დედის დღის დღესასწაული 3 მარტს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააწესა, რომელი გადაწყვეტილებაც 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა. დასავლეთის ქვეყნებში "დედის დღეს" დიდი ხნის ტრადიცია აქვს და უმეტესად მაისში აღნიშნავენ, მაგრამ ჩვენთან, ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის ჩასანაცვლებლად მარტის თვეში გადმოიტანეს. თუმცა, დღეს ორივე თარიღი – 3 და 8 მარტიც ცალ-ცალკე აღინიშნება. 3 მარტს დედებს და ორსულ ქალებს ულოცავენ, 8 მარტს კი – მდედრობითი სქესის ყველა წარმომადგენელს. შეგახსენებთ, რომ ორივე დღესასწაული, - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უქმეებადაა გამოცხადებული.

სწორედ გაზაფხულის დღესასწაულებთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, 8 შვილის დედასთან ჩაგვეწერა ინტერვიუ, რომელიც არის აგრეთვე სოციალურად დაუცველი და აფხაზეთიდან დევნილი.

მინი-დოსიე: *თამუნა ჩიტაია, აფხაზეთიდან დევნილი, 29 წლის. 7 წელია, მეუღლესთან ზაზა ფილაურთან და შვილებთან ერთად ქირით ცხოვრობს დედოფლისწყაროში. აქვს საშუალო განათლება, 8 შვილიდან 4 ვაჟი და 4 გოგონაა, უფროსი ვაჟი 12 წლისაა, დანარჩენ ბავშვებს ძორის სხვაობა თითო წელია, ყველაზე უმცროსი 4 თვისაა. თამუნა 2 წლის იყო, როდესაც მისმა მშობლებმა ომის დროს ოჩამჩირე დატოვეს და რუსთავში ჩამოვიდნენ საცხოვრებლად.*

-მოგვიყევით, როგორ შექმენით ოჯახი და ასეთ სოცილურ ფონზე რამ გადაგაწყვეტინათ ასეთი გმირული ნაბიჯის გადადგმა?

- ოჯახი სიყვარულით შევქმენით ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში. ჩვენ მორწმუნეები ვართ და არ შეგვეძლო ბავშვის მოცილება, წარმოუდგენელი იყო ჩვენთვის ეს ნაბიჯი.

-რას ასწავლით ბავშვებს, აღზრდის კუთხით, რა არის თქვენთვის პრიორიტეტული?

საღამოობით ვუჯდები და ვუკითხავ ზღაპრებს, უყვართ ხატვა, კითხულობენ წიგნებს, ვასწავლი უფროსების პატივისცემას, ვესაუბრები სამშობლოზე, გადატანილ ომებზე, როგორ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. მადლობა ღმერთს, ყველანი ჯანმრთელები არიან, გონებრივი შესაძლებლობებიც ნორმალური აქვთ და კარგად სწავლობენ.

-როგორ უძღვებით მარტო, გეხმარებათ მეუღლე?

-მეუღლე მეხმარება, როცა დღიურად არ მუშაობს, ბავშვები ბარავენ, შეშას ჭრიან, წყალს ეზიდებიან მეზობლიდან, დედამთილი ცალკე ცხოვრობს, მაგრამ მოდის ხოლმე და მეხმარება, მოკლედ ყველა ძალიან მეხმარება.

-რას ნატრობთ და რა არის თქვენი ოცნება?

-ჩემი ოცნებაა, იყოს მშვიდობა, არ იყოს ეკონომიკური პრობლემები, ყველას შეგვეძლოს გამართულად ცხოვრება, ჩვენმა შვილებმა მიიღონ განათლება, რომ ჩვენსავით არ ინვალონ მერე.

-ოცნებობთ აფხაზეთში დაბრუნებაზე?

-სიმართლე გითხრათ, არა, აქ მიყვარს და მირჩევნია, ჩემთვის უცხოა ის ადგილი, ძალიან პატარა ვიყავი და არც მახსოვს არაფერი.

-როგორია მრავალშვილიანი დედის პასუხისმგებლობა?

-რომ გითხრათ, ძალიან ძნელია მეთქი, არ ვიქნები მართალი, არც ადვილი არ არის, რასაც ჰქვია, კარგად ვუძღებ.

-თქვენი აზრით, რა როლი აკისრია ოჯახში დედას და ქალს?

-ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული ადგილი მიკავია, მე და ჩემს მეუღლეს თანაბრად გვაქვს როლები გადანაწილებული, რადგან ოჯახი სიყვარულით გვაქვს შექმნილი, ეს სიყვარული დღემდე გვასაზრდოვებს და ყველა წინააღმდეგობის გადალახვაში გვეხმარება .

-სახელმწიფოს მხარდაჭერას რამდენად გრძნობთ და არის თუ არა საკმარისი?

- ვგრძნობ, რა თქმა უნდა,მე და ზაზა უმუშევრები ვართ, დღიურად თუ გავალთ სადმე, თოხში, მშენებლობაზე, მოსავლის აღების დროს და ასე შემდეგ უნდა ითქვას, რომ ამჟამად მთელი ჩემი ოჯახი სოციალური დახმარების კმაყოფაზე ვართ, საკვებს სათნოებიდან ვიღებთ, ყველასთვის ვერა, მაგრამ რამოდენიმე ნორმას. ამ ქვეყნად ბევრია ჩვენზე გაჭირვებული, ამიტომ, რაც გაგვაჩნია, ამითაც კმაყოფილები ვართ, მართალია, სახლი არ გვაქვს, მაგრამ მალე გავლენ ჩვენი მშობლები პენსიაზე, რომლებიც გვპირდებიან საპენსიო დანაზოგის მოცემას და ნელ-ნელა სახლსაც ვიყიდით როდისმე.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი ქვეყნის ყველა ქალბატონს დედის დღე და რვა მარტი მივულოცო, განსაკუთრებით ვულოცავ სათნოების სახლის უფროსს მარინა ტოკლიკიშვილს იმ სითბოსა და ყურადღებისთვის, რომელსაც იჩენს ჩვენთვის, თითოეული ბენეფიციარისთვის. ბოლოს კი, არ შემიძლია, ჩემი ღრმა მწუხარება და სამძიმარი არ ვუთხრა მოკლული მეომრის, არჩილ ტატუნაშვილის დედას, რომელიც უკვე 15 დღეა, შვილის ცხედრის მოლოდინშია, ღმერთმა მისცეს გამძლეობა და მოთმენა ამ მძიმე განსაცდელის ჟამს.

დასასრულს, რედაქციის სახელით, ვულოცავთ ჩვენს ძვირფას რეს-პოდენტს დედის დღეს და 8 მარტს, ვუსურვებთ, ჯანმრთელობას და ეკონომიკურ კეთილდღეობას ამ რთულ და საპასუხისმგებლო გზაზე. ჩვენს ძვირფას მკითხველს კი ვთხოვთ და მოვუწოდებთ, თუ ვინმეს გაქვთ ბ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ან გაგიჩნდებათ მატერიალური დახმარების სურვილი, შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 557 32 49 26 და გვერდში დავუდგეთ 8 შვილის დედას-თამუნა ჩიტაიას. რომელიც, მართალია არ წუწუნებს, მაგრამ ჩვენი დახმარება აშკარად სჭირდება.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა.

შირაქის სკივრი

1960 WLIS MARTI

● MSROMELEBMA ZEMO MACXAANIS SASAUZMES `AR INANO~ SEARQVES. CINIKURI SAXELI IMISTVIS DAIMSAXURA, ROM WŁEBIS MANZILZE SASAUZME SEUFEREBEL BINASI IYO MOTAVSEBULI. AGRETVE IQCUDI IYO MOMSAXUREBA DA PRODUQTEBIT MOMARAGEBAC. ES MDGOMAREOBA GAITVALISWINA ARBOSIKIS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM DA SARSAN SASAUZME AXAL, KARG BINASI GADAITANA. AXALI KADREBIC DAKOMPLEQTDA, MAGRAM MUSAOBIS GAUMJOBESEBA XANMOKLE GAMODGA. MEBUFETIS, DAMLAGEBLISA DA MZAREULIS MOVALEOBAS ASRULEBS MXOLOD ERTI, N. LEJAVA. AMITOM ARIS USUFTAOBA GAMEFEBULI DA XSIRAD DAKETILIA.

● MARTISTVIS DAMAXASIATEBELI CUDI AMINDI IDGA DABA WITELWYAROSI. QARTUL SASUALO SKOLASI MISVLAMDE MOSWAVLEEBS FEXSAMOSI TALAXSI AMOESVARAT. MEORE KLASIS MOSWAVLEV. BENASVILMA DA L. BOSTORANASVILMA GADAWYVITES REZINIANI FEXSACMELI SKOLIS AUZIS NAPIRAS GAEWMINDAT. FEXSAMOSIS RECXVISAS BAVSVEBI AUZSDCACVIVDNEN. MOSALODNELI IYO MATI DARRCOBA. MOSWAVLEEBMA T. JORKOSVILMA DA T. PAVLOVAM BAVSEBIS XMA GAIGONES, MIIRBINES DA AUZIDAN AMOIYVANES. ASE GADAARCINES BAVSVEBI UFROSI KLASIS MOSWAVLEEBMA.

● MZIANI DREEBIA DA MSROMELEBMA MINDORS MIASURES, ZOGMAC KARMIDAMOSI DAIWIRA TADARIGI. MAGRAM ASE RODI MOIQCNEN ZEMO MACXAANELI JANRONIT SAVSE AXALGAZRDEBI SALVA BOSTORANASVILI DA TEDO GOGILASVILI. MAT SAXELOVAN SROMAS QEIFI ARCIES, SOFLIS SASADILOSI TANATOLEBTAN ERTAD GAMOTVRNEN. 5 SAATI IQNEBODA, KULTURIS SAXLTAN COCQOLI ATYDA. VEEBA `MKLAVAZEEBI~ ERTIMEORES DAERIVNEN DA DAUZOGAVAD URTYAVDNEN. GANSAKUTREBIT AQTIUROBDA DA AR CXREBODA AMXANAGI BOSTORANASVILI. KARGA XANIA BOSTORANASVILI DABRUNDA SABWOTA ARMIIS RIGEBIDAN, SADAC AVTOMZROLIS SPECIALOBAC SEIZINA. SOFELSI AVTOMZROLIS ADGILI AR ARIS, IS KI SXVA SAMUSAOS AR KADRULOBS. AMITOMAC USAQMOD KLAVS DROS SASADILOSI. CXUBIS ATEXASAC AR ERIDEBA. DAE, SOFELMA GANSAJOS MISI QCEVA. GANA ES EKADREBA MARALDISCIPLINIANI ARMIIDAN CAMOSUL AXALGAZRDAS?

● VER VITYVIT, ROM WITELWYAROS RAIONIS SASOFLO SABWOEBI CUDAD MUSAOBDNEN, MAGRAM SICQARESI DA DAUFIQREBLAD SEDGENIL CNOBEBSI ISINI XSIRAD USVEBEN UXES SECDOMEBS. ENOBRIV SIWMINDEZE ROM ARAFERI VTQVAT, ARICAVEN AZRIS SISWORES. ASETI FAQTEBI ZALIAN GAXSIRDA. SOFEL QVEMO QEDIS SASOFLO SABWOM CNOBA MICVALEBULZE GASCA. SAKITXAVIA SAD, AN ROGOR UNDA `WAERO~ MICVALEBULS ES CNOBA? GTAVAZOBT TEQSTS: `CNOBA EZLEVA GRIGOL FEVDORIS ZE GRICEVS, MASZED ROM IGI ARIS WITELWYAROS RAIONIS SOFEL QVEMO QEDIS SASOFLO SABWOS TERITORIAZE, ELDARSI MCXOVREBI, ROMELIC GARDAICVALA 1960 WLIS 17 TEBERVALS. OJAXSI DARCA TAVIS KMAYOFAZE COLI, GRICAEV ANNA STEFANES ASULI DABADEBULI 1904 W.~

1961 WLIS MARTI

● AVTOBUSEBIS SADGURI DA EZO ZALZE KETILMOUWYOBELIA. WERIDAN WVIMIS WYALI CAMODIS, MISI EZO SISTEMATIURAD DANAGVIANEBULIA. MISI DASUFTAVEBA ARAVIS ARA AQVS DAKISREBULI. AVTOBUSEBIS EZOS AUSNOEBS AGRETVE WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS SASURSATO DUQNIS DA YOFILI NAVTIS WERTIS FANCATUREBI AVTOSATRANSPORTO KANTORAS DASWIRDEBA SERIOZULI RONISZIEBA GAATAROS AVTOBUSEBIS SADGURIS KETILMOWYOBISTVIS XOLO KOOPERATIVMA EZO ZEDMETI NAGEBOBEBISGAN UNDA GAANTAVISUFLOS.

● WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS SAMREWVELO DA SASURSATO MARAZIEBSI ARISOVEBA FANJRIS MINA. ARC DAFQULI DA QVA MARILI, SXVADASXVA ZOMIS LURSMANI DA A.S. SAWIROA, SAMOMXMAREBLO KOOPERACIIS MUSAKEBMA GAITVALISWINON MOMXMAREBELTA MOTXOVNEBI DA MOKLE DROSI MOAMARAGON MARAZIEBI. RAIKOOPKAVSIRIS GAMGEOBIS TAVMJDOMARE AMX. DATUKISVILI GVATYOBINEBS, ROM SEMOWEBIT DADASTURDA.

● AXALI FULIS MIMOQCEVASI SESLASTAN DAKAVSIREBIT RAIKOOPKAVSIRI AWARMOEBS LITONIS XURDA FULIS GACEMAS MARAZIEBZE, ROM MAT SASUALEBA MIECET MOMXMAREBELS ZUSTAD DAUBRUNON XURDA. KOOPERATIVIS SALARODAN 30 MANETI EXURDA FULI GAVECI # 1 MARAZIIS SEQCIONER TINA OTARASVILZE. IGI MENDO DA CEMTAN FULI AR DAUTVLIA. ROCA MARAZIASI MIVIDA, DATVALA DA 8 MANETI DA 40 KAPIKI ZEDMETI ARMOCNDA. OTARASVILMA CEMS MIER GADAYOLEBULI FULI RAMODENIME WUTSI UKAN MOMITANA. MISI SAQCIELI NAMDVILAD KETILSOBILURIA,~ - SWERS REDAQCIAS N. BIRIASVILI.

● BAIDA-CATMIS MIDAMOEBSI, ERTERT SAZIEBO WABURRILZE IFETQA NAVTOBIS DIDMA SADREVANMA, RAMAC AXALGAZRDA MENAVTOBETA ERTSULOVANI ARFRTOVANEBA GAMOIWVIA. BORIS ARJANENKOS SURATZE: SAZIEBO UBNIS UFROSI GIORGI WERETELI (MARJVNIV) SIXARULIT MIMARTAVS BURRVIS OSTATS D. EBELASVILS DA MUSATA KOLEQTIVS, TU ROGOR GAMARTLDA MATI GEOLOGIURI DAZVERVA.

● CVENI GAZETIS FOTOREPORTIORMA BORIS ARJANENKOM ES FOTO ORIOD DRIS WIN GADAIRO. SAGAZETED MASALIS MOMZADEBAC VER MOVASWARIT, ROM MSENEBELTA KOLEQTIVMA UKVE GADAXURA AM SENOBAS ES MUSATA MESAME SACXOVREBELI BINAA WITELWYAROSI, RUSTAVELIS QUCAZE, UBNIS DASASRULTAN. ISINI WITELWYAROS KIRIS QARXANAM AASENA.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

მაია გაღაშვილი

ორმოცი დღე მიილია, რაც შენ აღარ ხარ წუთისოფელში. გვიჭირს დაჯერება, რომ ასე უცებ, ჩუმად წახვედი ამ ქვეყნიდან. კარგი შვილი, კარგი და, კარგი მეუღლე, კარგი დედა, ჩვენი კარგი მეგობარი, უღალატო და მართალი ადამიანი... კიდევ ბევრი კარგის თქმა შეგვიძლია, მაგრამ ძნელია წარსულში საუბარი.

როცა შენი მეგობრები ერთად ვართ, გვგონია, რომ შენც ჩვენთან ხარ, ჩუმად ზიხარ, უპრეტენზიო, ყურადღებიანი, ყველას მიმართ მოსიყვარულე, თბილად მომღიმარი... გული გვტკივა მწარე სინანულით, რომ ვერ მოგეფერეთ, ვერ მოვასწარით, ვერ დავიჯერეთ, რომ გამოგვაკლდებოდი. ვწუხვართ უდედოდ დარჩენილ შენს საყვარელ შვილებზე.

ახლა რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ლოცვებში მოგიხსენიოთ. „წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.“

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, მაია.

შენი მეგობრები ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლიდან.

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

მარინე გიგოლაშვილი

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა“.

ვაჟა-ფშაველა ამ სიტყვებს რომ წერდა, სიცოცხლის მშვენიერებას უმღეროდა, მაგრამ სიკვდილსაც ლოცავდა და ეფერებოდა, რადგან საყვარელი ადამიანი გამოსტაცა ხელიდან და ჩაიხუტა სამუდამოდ. ასეა, სიცოცხლეს მაშინ ვაფასებთ, როცა სიკვდილის შესახებ ვიგებთ. მარინე გიგოლაშვილი, უდროო გარდაცვალებით, თითქოს იმ მშვენიერებით შეეგება, რომლითაც უხვად დაასაჩუქრა ბუნებამ.

ამ მშვენიერ, ფარფატა, თბილ და განათლებულ ქალბატონს უყვარდა სიცოცხლე და მძაფრად განიცდიდა ამქვეყნიურ ავ-კარგს. იყო თავგადაკლული დედა და მეუღლე. უყვარდა ულამაზესი ქალიშვილები და ასევე სხვისი შვილები. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ აღზრდიდა მრავალ თაობას. რომ არ ყვარებოდა, ვერ იტვირთებდა თავისი იმ რუტინულ და საპასუხისმგებლო პროფესიას, რომელსაც მასწავლებლობა ჰქვია და, რომელსაც 4 ათეული წელი შეალია. თავად პედაგოგების ოჯახში დაბადებულს, სხვანაირად ვერც წარმოედგინა.

მარინე ალექსანდრეს ასული გიგოლაშვილი დაიბადა 1955 წლის 25 დეკემბერს(ყოველთვის 7 დეკემბერს აღნიშნავდა. წმ. ეკატერინე იყოს მეოხი მისი სულისა!) დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ოზაანში, ლამაზ და ღვთივკურთხეულ სოფელში. ოზაანის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ არბოშიკში ასრულებს საშუალო სკოლის კურსს და ერთ წელიწადში, სკოლის მერხიდან, მშობლიურ სკოლაში იწყებს მხატვრული წრის ხელმძღვანელად მუშაობას. გადის ორი წელიც და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია- გეოლოგიის ფაკულტეტზე ეუფლება ცოდნას. უმაღლესი კურსის დასრულების შემდეგ ანაწილებენ გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლაში და 1982 წლიდან სოფელ გამარჯვებაშია გეოგრაფიის მასწავლებლად, სადაც 35 წელი პატარების ანთებულ თვალებს შესცქეროდა, თანამშრომლების ჭირსა და ლხინს იზიარებდა. ამავე დროს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი უამრავ შეხვედრასა და ღონისძიებას უძღვებოდა წარმატებულად.

ყოველ დილით კოპწიად მოწესრიგებული შემოაღებდა სკოლის კარს და მოსწავლეებს მსოფლიოს გარშემო ამოგზაურებდა. ავლენდა იმ ერუდიციას, რომელიც წარმოაჩენდა, როგორც პედაგოგთა ინტელექტუალური გუნდის კაპიტანს. იმსახურებდა უამრავი მადლობის ბრძანებასა და სერტიფიკატს.

რთულია მარინე მასწავლებელზე წარსულში საუბარი, თუმცა გახსენება იმ წამებთან გვაახლოვებს, რომლებიც ერთად გაგვიტარებია. გვიგრძვნია ის სიამტკბილობა, ის რჩევა-დარიგების მიცემა, ის სჯა-ბაასი პედკოლექტივისა, რომელსაც ჩვენს მეორე ოჯახს ვეძახით.

სწორედ ამ ოჯახს მოაკლდი და გადაინაცვლე იმ ამოუცნობ სამყაროში, რომელშიც, ადრე თუ გვიან, “ყველას სამარე მიგველის, ვინც დედის მუცლით შობილა”, თუმცა ძნელია უშენობა. შენ გაზაფხულის პირველ დღეს დახუჭე თვალი. ბუნება იღვიძებდა, შენ კი მარადიული ძილით დაიძინე. შენ დასვენებებსა და თავისუფალ დროს ლექსის თქმა და წაღიღინება გიყვარდა. ეს კი სილაღეს გმატებდა და დახვენილი მანერებით არისტოკრატიული შარმით იმოსებოდი... თურმე მის შიგნით იმალებოდა სევდიანი, ტკივილიანი ადამიანი, რომელიც წუთისოფლის სიმუხთლეს წელმოწყვეტილი და მოფარფატე, სიცოცხლეგანწირულ პეპელასავით უმწეოდ დანებდა. დაგვიტოვე ტკბილსევდიანი მოგონებანი და ცრემლი, რომელიც სინანულად გაგვყვება.

მშვიდად იძინე ცათა სასუფეველში, ჩვენო მარინე მასწავლებელო!

სსიპ პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების
სკოლის პედკოლექტივი

სსიპ პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან გეოგრაფიის მასწავლებლის

მარინე გიგოლაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

სსიპ პროფესორ ავთანდილ-პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ეთერ ქართველიშვილი იუწყებიან ყოფილი კლასის ხელმძღვანელის

მარინე გიგოლაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჭადრაკის პოპულარიზაციისთვის

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით, დედოფლისწყაროს სპორტდარბაზში ნუნუ კობაიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. ჩემპიონატში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები და ჭადრაკის მოყვარულები ასაკის შეუზღუდავად მონაწილეობდნენ.

ტურნირი ტრადიციულია და 1970 წლიდან ტარდება. პირველი დედოფლისწყაროელი ქალი მოჭადრაკე, წითელწყაროს მრავალგზის ჩემპიონი ნუნუ კობაიძე 1970 წელს, 28 წლის ასაკში სიმსივნის დიაგნოზით გარდაიცვალა. იმავე წელს კი მისი სახელობის ტურნირი დაარსდა. რამდენიმე წლის წინ ტურნირის ტრადიცია სპორტის ცენტრმა აღადგინა. წელს ასპარეზობაში ნუნუ კობაიძის ძმა, საქართველოს სპორტის ოსტატი ბესო კობაიძეც მონაწილეობდა.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რა განცდაა ოჯახის წევრისთვის, როდესაც მშობლიურ რაიონში თითქმის 50 წლის შემდეგ სახელოვანი მოჭადრაკის სახელობის ტურნირი იმართება. ნუნუ კობაიძის ძმა ამბობს, რომ ამით ბედნიერია.

„ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ჩემი და მიცოცხლდება. მიჭირს ამ მდგომარეობის სიტყვებით აღწერა. ნუნუ მათემატიკის მასწავლებელი იყო და, მოულოდნელად, 28 წლის ასაკში სიმსივნით გარდაიცვალა. დიაგნოზის დასმიდან გარდაიცვალა. რამდენიმე თვეში რაიონის მრავალგზის ჩემპიონი იყო, ჭადრაკს სკოლიდანვე თამაშობდა. ბავშვობიდან გაგვიჩნდა ჭადრაკის თამაშის ინტერესი. ჩვენი ნათესავი თამაშობდა, ბიძა დაგვიჯდებოდა და გვასწავლიდა ხოლმე. შემდეგ უკვე და-ძმა ერთად ვმონაწილეობდით რაიონის თუ რესპუბლიკის ტურნირებში. 1970 წელს მისი გარდაცვალების თანავე მისი სახელობის ტურნირი დაწესდა, მანამდე მისი სახელობის თასი იყო ქალთა შორის, რომელსაც ხშირად გამარჯვებული მოჭადრაკე ქალი იგებდა. ნუნუ ძალიან დაფასებული იყო რაიონისგან. უამრავი სიგელი და ჯილდო ჰქონდა მიღებული. პირველ წარმატებას 1958 წელს მიაღწია. ბოლო ორი წელია, ჩამოვდივარ დედოფლისწყაროში და ტურნირს ვესწრები. ყოველთვის 8 მარტს ტარდებოდა ტრადიციულად. როცა მეპატიჟებიან და მაგებინებენ, ვცდილობ, ჩამოვიდე. როგორც კი და დამეღუპა, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ოჯახიც აირია. სამ-ოთხ წელიწადში დედაც გარდაიცვალა, შემდეგ მეც თბილისში გადავედი. სოფელ ზემო ქედში სახლი ისევ გვაქვს, სანამ მამა მყავდა, შაბათ-კვირას ყოველთვის ჩავდიოდი. ახლა იშვიათად ვახერხებ. მაგრამ ახლა ვაპირებ მუდმივად საცხოვრებლად დავბრუნდე სოფელში. ისე კი, ჩემს შვილსაც ნუნუ ჰქვია, თავად სოფელმა დაარქვა. არ ვიფიქრებდით, რომ ასე სერიოზულად ავითვისებდით ჭადრაკს. შემდეგ მე ჭიდაობას გავყევი, აღარ მეცალა ჭადრაკის სათამაშოდ. ჭადრაკში ქალები იყვნენ ძლიერები, კაცებმა ვერ აჯობეს. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი ვარ. 30 ჯერ მაინც გავხდი რაიონის ჩემპიონი. მაშინ ისე იყო, თუ სპორტში იყავი ყველა სახეობაში უნდა გეცადა ძალები. 40 წლის მანძილზე უნივერსიტეტში ვიმუშავე ფიზიკის ფაკულტეტზე ბირთვული ლაბორატორიის გამგედ, მეცნიერ მუშაკი ვარ,“ – განუცხადა „შირაქს“ ბესიკ კობაიძემ.

უფროს ასაკში პირველი ადგილი დაიკავა **გიგა ყოჩიაშვილმა.** მეორე ადგილზე **გოგი კიკილაშვილი** გავიდა, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ნუნუ კობაიძის ძმას, **ბესო კობაიძეს**.

სკოლის მოსწავლეებს შორის, ვაჟებში პირველი ადგილი **კარენ კლოიანს** ხვდა, მეორე ადგილი **ზურაბ ხუციშვილს,** მესამე – **გიორგი იაკობიშვილს.** გოგონებს შორის კი პირველი ადგილი **მარი უთრუთაშვილმა** დაიკავა, მეორე **ნინო კიკილაშვილმა.** უმცროსი ასაკის მოჭადრაკეებს შორის პირველ ადგილს **საბა ბატიაშვილი** დაეუფლა. პირველი ადგილის მფლობელებს **გოგი კიკილაშვილის მიერ დაწესებული ერთჯერადი ფულადი პრიზები გადაეცათ.** ყველა გამარჯვებულს მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები დაურიგდა.

გაზეთი „შირაქი“ პირველი ადგილის მფლობელს **გიგა ყოჩიაშვილს** გაესაუბრა.

„საკმაოდ საინტერესო და რთული თამაში იყო. გამოცდილ მოთამაშეებს შევხვდი, ამიტომ კმაყოფილი ვარ ჩემი შედეგით. ვფიქრობ, რომ ღირსეულმა გაიმარჯვა. კარგი იქნება, თუ დედოფლისწყაროში ხშირად გაიმართება ჭადრაკის ტურნირები. ეს ჭადრაკის პოპულარიზაციასაც დაეხმარება და სპორტის ეს სახეობაც განვითარდება ჩვენს რაიონში. ჭადრაკის თამაში 5 წლის ასაკში ვისწავლე, სოფელ სამრეკლოში ჩემს გარშემო თითქმის ყველა თამაშობდა. ალბათ ამან იქონია გავლენა, მეც დავინტერესდი და გადავწყვიტე მეთამაშა. კარგად მახსოვს, პაპა მასწავლიდა. თამამად შემიძლია ვთქვა, მისი დამსახურებაა, რომ მესამედ მოვიპოვე რაიონის ჩემპიონობა. მშობლებიც ბავშვობიდანვე გვერდით დამიდგნენ და ხელს მიწყობდნენ. მიიჩნევდნენ, რომ ჭადრაკი ხელს უწყობს გონების უკეთ განვითარებას. თავიდან სამოყვარულო დონეზე მივუდექი, მხოლოდ ვარჯიშის მიზნით ვთამაშობდი, მაგრამ შემდეგ უკვე რაიონულ ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მივიღე მონაწილეობა და 14 წლის ასაკში მეორე ადგილი დავიკავე. ალბათ ეს აღმოჩნდა დიდი სტიმული და ამ დღის შემდეგ გაცილებით სერიოზულად მივუდექი და თბილისში ჭადრაკის სასახლეშიც ხშირად ვთამაშობ ხოლმე. მომდევნო წლების განმავლობაში ორჯერ გავხდი ჩემპიონი, არაერთი საპრიზო ადგილი მაქვს მოპოვებული რაიონულ ტურნირებზე. პაპა საკმაოდ

კარგი მოთამაშე იყო, ძალიან მეხმარებოდა, რომ ამეთვისებინა. თავად მამეცადინებდა და საჭადრაკო ლიტერატურასაც ხშირად ვკითხულობდით. უკვე 18 წელია, ჭადრაკს ვთამაშობ, ამიტომ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა ეს სპორტი. ყველა მოთამაშე ოცნებობს მსოფლიო ჩემპიონობაზე, მაგრამ რეალობასთან ახლოს რომ ვიყოთ და სწორად გამოვხატო, მინდა დიდოსტატი გავხდე. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბანკო-საფინანსო ფაკულტეტი დავამთავრე და ვაპირებ მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას. დედოფლისწყაროში ამ სახეობას პოპულარიზაცია აკლია. არ არის თამაშის მაღალი დონე. კარგი იქნება, მოინახოს გზები ინტელექტუალური სპორტის განვითარებისთვის. ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა მეტად დაინტერესდება. ხელი შეეწყობა მომავალი თაობის განვითარებას და იმედი მაქვს გადაიდგმება ნაბიჯები. რაც მეტი ადამიანი ჩაერთვება ჭადრაკის ტურნირებში, მით უკეთესია“ – განუცხადა „შირაქს“ გიგა ყოჩიაშვილმა.

როგორც ტურნირის მსვლელობისას „შირაქმა“ გაარკვია, უკვე რამდენიმე წელია, სოფელ არბოშიკში ჭადრაკის შემსწავლელი წრე მოქმედებს, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტი **ვალიკო ნატროშვილი** უდგას სათავეში. ადგილობრივები ამბობენ, რომ სოფელში დიდი მოთხოვნა იყო, ამიტომ გადაწყვიტეს ორგანიზება გაეკეთებინათ. ამ ტურნირზეც რამდენიმე არბოშიკელი მოზარდი მონაწილეობდა. ერთერთი მოსწავლეა 7 წლის მათე ბაღაშვილი, რომელიც ჭადრაკზე წელიწადზე მეტია დადის. როგორც თავად ამბობს, დიდი სურვილი ჰქონდა, ეს სახეობა შეესწავლა, გავლენა კი ოჯახურმა გარემომ მოახდინა. დეტალებზე გაზეთი „შირაქი“ მათეს დედას, ირმა შოშიაშვილს ესაუბრა:

„ოჯახში ჭადრაკს ყველა ვთამაშობთ. მშობლებიც, ბებია, ბიძაშვილები. ხშირად არის შემთხვევები, როცა, თავისუფალ დროს, სახლში ოჯახის წევრები ერთმანეთს ვეპაექრებით, ალბათ აქედან გაუჩნდა ბავშვს ინტერესი და ნელნელა ყველაფერმა გავლენა იქონია. რაკი აღმოჩნდა, რომ სოფელში მსურველი ბევრი იყო, ვიცოდით, რომ ვალიკო ნატროშვილი კარგი სპეციალისტია, მშობლებმა ვიაქტიურეთ, რომ ჭადრაკის შემსწავლელი კერძო წრე გაგვეხსნა და თავადვე დაგვეფინანსებინა. ასეც მოვიქეცით და დღეს უკვე ფუნქციონირებს და რამდენიმე ბავში დღევანდელ ტურნირშიც მონაწილეობს. რაც შეეხება კონკრეტულად ჩემს შვილს, ათვისება არ გასჭირვებია, ცელქია, მაგრამ კარგად დაძლია. სამომავლოდ თვითონ გადაწყვეტს, წავიდეს თუ არა ამ მიმართულებით და რამდენად სერიოზულად გაჰყვება ამ სპორტს. ჩვენგან მას არჩევანის თავისუფლება ექნება. ეს ისეთი სპორტია, გონებას და აზროვნებას მოითხოვს, ბავშვი თუ გონიერი არ არის, ვერ შეძლებს წარმატებით თამაშს. მე მოყვარულის დონეზე ვარ, პროფესიონალურად არ ვთამაშობ. აღარც მახსოვს თავდაპირველად საიდან ავითვისე. ალბათ მეგობრებიდან ვისწავლე, მამაც კარგად თამაშობდა, ნათესავებიც. კარგია დედოფლისწყაროში ყოველწლიური ტურნირი რომ ტარდება, მაგრამ კარგი იქნებოდა მეტი ყურადღება დაეთმოს და უფრო მეტი აქტივობა იყოს ამ მიმარულებით. შარშანდელ ტურნირზე დაშვებული იყო, თუმცა მცირე ასაკის მოთამაშეები არ ყოფილან, წელს მისასალმებელია, რომ პატარა მონაწილეებიც ბევრი გვყავს და პროგრესი შეინიშნება. აშკარად მეტი ინტერესია მოზარდებში. ხელისუფლებამ და მედიასაშუალებებმა მეტი დრო უნდა დაუთმონ ამ სპორტს, უფრო მეტი შედეგი იქნება და ენთუზიაზმიც მოიმატებს,“ - ამბობს ირმა შოშიაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ვ ა კ ა ნ ს ი ა

საქართველოს ბანკი

„სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიას პრობლემური სესხების მენეჯერის თანამდებობაზე დედოფლისწყაროში. ვაკანსიის დეტალური აღწერა გთხოვთ იხილოთ ვებგვერდზე jobs.bog.ge დაინტერესებულ კანდიდატებს, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ელ. ფოსტის მისამართზე Regionjob@bog.ge ან დატოვოთ შესაბამისი რეგიონის სერვის ცენტრში, მის: ჰერეთის ქ. №42, კორპუსი №15

შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: პერსონალის შერჩევის სამსახური, ☎ +995 32 2444 422 გისურვებთ წარმატებას!“

ვ ა კ ა ნ ს ი ა

კაფე-რესტორანი „დავითი“ აცხადებს ვაკანსიას 18-დან 40-წლამდე ქალბატონებისთვის.
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: **რუსთაველის ქუჩა №53,**
ან დაგვიკავშირდით ნომერზე:
☎ 577-34-55-39

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 12.03		სამშაბათი 13.03		ოთხშაბათი 14.03		ხუთშაბათი 15.03		პარასკევი 16.03		შაბათი 17.03		კვირა 18.03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
8°	6°	2°	1°	0°	–1°	2°	1°	6°	4°	8°	7°	8°	7°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.